Hyundai Connected Mobility GmbH

Hyundai-ს დაკავშირებული მობილურობა
ძალაშია 2025 წლის 1-ლი იანვრიდან.
Other language versions of this Privacy Notice can be accessed and downloaded from: [https://www.hyundai.com/eu/bluelink-privacy-notice]
ცვლილებების ჩამონათვალი

- 4.1.1 ჩვენთქვენი ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერს (VIN), სერვისების კატეგორიებს, რომლებიც გააქტიურეთ და საწყისი აქტივაციის თარიღს დავამუშავებთ.
- 4.1.2 ჩვენ მონაცემთა დამუშავების მიზნები განვაახლეთ.
- 4.3.2 კონფიდენციალურობის პარამეტრები დაემატა.
- 4.3.3 თუ გარკვეულ POI-ზე მიხვალთ და სადგომზე დადგებით, ამ მოვლენასთან დაკავშირებულ მონაცემებს ჩვენი სერვისის მიმწოდებელს გადავცემთ, რათა მან მესამე მხარის კონტენტის ეფექტურობის შეფასება და შემოთავაზებული სერვისების გაუმჯობესება შეძლოს: პარკირების GPS პოზიცია გრძედით/განედით, მძიმის შემდეგ 4 ციფრზე მეტის მითითებით (მდებარეობის ზუსტი მონაცემების გარეშე) და პარკირების შესრულების დღე (ზუსტი დროის ნიშნული არ არის), მოწყობილობის ID-სთან და შეთავაზების ID-სთან ერთად.
- 4.3.6.1 სასურველი მარშრუტი დაემატა.
- 4.4.2 სივრცული ხედვის მონიტორის ფუნქცია დაემატა.
- 4.7 კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული მიზნებისთვის, მონაცემთა დამუშავება დაემატა. ამ ახალი თავის ნაცვლად, წინა დანართი (მონაცემთა დამუშავება Hyundai Motor Company-სთან ერთობლივი კონტროლით) წაიშალა.
- 8.3 სერვისების სიის ფუნქცია წაიშალა.

1. რას ეხება შეტყობინება კონფიდენციალურობის შესახებ?

კონფიდენციალურობის შესახებ ამ შეტყობინების („შეტყობინება კონფიდენციალურობის შესახებ“) მიზანია, გაცნობოთ თქვენი პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების შესახებ Hyundai Bluelink Europe-ის სერვისების („Bluelink“ ან „სერვისები“) უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, ავტომობილის საინფორმაციო-გასართობი სისტემის (ეს არის თქვენი ავტომობილის სტერეოსისტემის ძირითადი მოწყობილობა) და Hyundai Bluelink Europe-ის აპლიკაციის („აპლიკაცია“) მეშვეობით.
ჩვენ დიდი სერიოზულობით ვეკიდებით თქვენს კონფიდენციალურობას და თქვენს პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ მონაცემთა დაცვის შესახებ მოქმედი კანონების შესაბამისად დავამუშავებთ.
თქვენი პერსონალური მონაცემების ნებისმიერი სახით დამუშავება, რომლებიც შესაბამისი ანგარიშის რეგისტრაციას უკავშირდება (მათ შორის, ისეთი პერსონალური მონაცემები, როგორიცაა თქვენი სახელი, გვარი, ელფოსტის მისამართი, დაბადების თარიღი ან მობილური ტელეფონის ნომერი), კონფიდენციალურობის შესახებ ცალკე შეტყობინებას ექვემდებარება.

2. ვინ არის პასუხისმგებელი ჩემი მონაცემების დამუშავებაზე?

Hyundai Connected Mobility GmbH, რომლის რეგისტრაციის მისამართია Kaiserleipromenade 5, 63067 Offenbach, Germany („Hyundai“), არის სერვისების პროვაიდერი და პასუხისმგებელი თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, როგორც ეს აღწერილია ამ შეტყობინებაში კონფიდენციალურობის შესახებ. Hyundai მოიხსენიება, როგორც „ჩვენ“, „ჩვენს“ ან „ჩვენი“.

ჩვენ შეგვიძლია თქვენი პერსონალური მონაცემების იმ მიზნებისთვის გამოყენება, რომლებიც აღწერილია ქვემოთ.

იმ კონკრეტულ სერვისებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩამოთვლილია მე-6 პუნქტში, ჩვენ ვიმოქმედებთ, როგორც ერთობლივი მაკონტროლებელი პროდუქტის შეძენის ქვეყანაში არსებულ Hyundai ჯგუფის შვილობილ კომპანიებთან ან/და Hyundai-ს ავტორიზებულ დისტრიბუტორთან ერთად.

თქვენ შეგიძლიათ მოიძიოთ შესაბამისი ერთობლივი მაკონტროლებლების სახელები და საკონტაქტო მონაცემები მე-13 პუნქტში.

ჩვენ და ერთობლივი მაკონტროლებელი ვდებთ შეთანხმებას, რომელიც პერსონალური მონაცემების დამუშავების წესს არეგულირებს.

მოთხოვნის შემთხვევაში, მოგაწვდით ინფორმაციას ასეთი ხელშეკრულების შინაარსის შესახებ.

3. როგორ დავუკავშირდე მაკონტროლებელსა და მონაცემთა დაცვის ოფიცერს?

3.1. კონფიდენციალურობის შესახებ ამ შეტყობინების ან თქვენი რომელიმე უფლებით სარგებლობის თაობაზე, ან მათთან დაკავშირებით შეკითხვების შემთხვევაში, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ Hyundai-ს მომხმარებელთა ქოლ-ცენტრს ტელეფონის ნომერზე +49 69271472377.

ასევე, შეგიძლიათ გაუგზავნოთ ელ-ფოსტა Hyundai-ს ელექტრონულ მისამართზე bluelink@hyundai-europe.com.

3.2. გარდა ამისა, შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ჩვენს მონაცემთა დაცვის ოფიცერს ელფოსტის
მისამართზე
HCM.dataprotection@yundai-europe.com ან მიმართოთ
წერილობით შემდეგ მისამართზე:
c/o Data Protection Officer
Kaiserleipromenade 5
63067 Offenbach, Germany
Hyundai Connected Mobility GmbH

4. რა კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება, რა მიზნით და რა სამართლებრივი საფუძვლით?

4.1. ჩვენ მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება

4.1.1. Bluelink-ის სერვისების მიწოდება

ჩვენ ვაგროვებთ და ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს სერვისებთან დაკავშირებით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათი შეგროვება და დამუშავება:

- საჭიროა Bluelink-ის ხელშეკრულების დასადებად ან შესასრულებლად (მუხ. 6 (1) (ბ), GDPR),
- მოითხოვება კანონით (მუხ. 6 (1) (გ), GDPR),
- ეფუძნება თანხმობას (მუხ. 6 (1) (ა), GDPR), ან

- საჭიროა ჩვენი ან მესამე მხარეების კანონიერი ინტერესებისთვის (მუხ. 6 (1) (ვ), GDPR).

ინდივიდუალურ სერვისებთან დაკავშირებული დეტალებისთვის გაეცანით Bluelink-ის გამოყენების პირობებში მოცემულ შესაბამისი სერვისის აღწერილობას.
ქვემოთ მოცემულ პუნქტებში 4.2, 4.3, 4.4, 4.5 და მათ ქვეპუნქტებში აღწერილი ყველა (პერსონალური) მონაცემი გროვდება უშუალოდ თქვენი ავტომობილიდან (მაგ., სენსორებიდან და დაკავშირებული აპლიკაციებიდან, რომლებიც საინფორმაციო-გასართობი სისტემის მეშვეობით ხდება ხელმისაწვდომი), ან ხელმისაწვდომი გახდა თქვენ მიერ აპლიკაციის გამოყენებით (მაგ., აპლიკაციაში გარკვეული პერსონალური მონაცემების შეყვანით) და მუშავდება სერვისებთან დაკავშირებით.
ქვემოთ მოცემულ პუნქტებში 4.2, 4.3, 4.4, 4.5 და მათ ქვეპუნქტებში აღწერილი მონაცემები აუცილებელია სერვისების მისაწოდებლად. ამ ინფორმაციის გარეშე სერვისები ვერ განხორციელდება.
გარდა ამისა, ჩვენ დამატებით დავამუშავებთ თქვენი ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერს (VIN), სერვისების კატეგორიებს, რომლებიც გააქტიურეთ და თავდაპირველი აქტივაციის თარიღს. სამართლებრივი საფუძველია GDPR-ის 6 (1) b) მუხლი (ხელშეკრულების დადება და ჩვენი სერვისების შესრულება).

4.1.2. სხვა მიზნებისთვის დამუშავება

სერვისების უზრუნველყოფის გარდა, თქვენს პერსონალურ მონაცემებს, ასევე, სხვა მიზნებისთვის დავამუშავებთ, როგორც ქვემოთ არის აღწერილი.

- **პროდუქტების გაუმჯობესება / განვითარება:** თუ თანახმა ხართ, ჩვენ გავაანალიზებთ და კიდევ უფრო გავაუმჯობესებთ სერვისებს, რათა შევიმუშაოთ გადაადგილებასთან დაკავშირებული ახალი პროდუქტები ან/და სერვისები, გავზარდოთ ჩვენი პროდუქტების უსაფრთხოება ან/და განვავითაროთ ჩვენი სერვისები.

- ამ მიზნებისთვის, სტატისტიკურ და მათემატიკურ მოდელებზე დაფუძნებით, ავტომატურად ვაანალიზებთ სერვისების მიწოდებისას დაგროვილ მონაცემებს, რათა გაუმჯობესების პოტენციალი განისაზღვროს, თუ ან ყველა სერვისი გაქვთ გააქტიურებული, ან თქვენი ინფოტაინმენტ სისტემის კონფიდენციალურობის პარამეტრებში, სერვისის კატეგორია „პროდუქტის/ სერვისის გაუმჯობესება“ აირჩიეთ. დამატებითი დეტალები 4.5 პუნქტშია მოცემული.

- ნებისმიერი ასეთი დამუშავების სამართლებრივი საფუძველია მუხლი 6 (1) (ვ), GDPR (Hyundai-სა და დისტრიბუტორის კანონიერი ინტერესები, დაამუშაონ თქვენი პერსონალური მონაცემები ჩვენი სერვისების განვითარების და გაუმჯობესების მიზნით).

- **პროდუქტების მონიტორინგი / პროდუქტებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა:** ამ თვალსაზრისით, ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენი პროდუქტების ზედამხედველობის, IT უსაფრთხოების სტანდარტების უზრუნველყოფის ან საკუთარი ან მესამე მხარეების დაცვის მიზნით, ჩვენს პროდუქტებთან და სერვისებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის და სხვა სამართლებრივი მოთხოვნის შემთხვევაში.

- რამდენადაც ასეთ დამუშავებას კანონი არ მოითხოვს (მუხ. 6 (1) (გ), GDPR), მონაცემების ნებისმიერი დამუშავების სამართლებრივი საფუძველი არის

მუხლი 6 (1) (ვ), GDPR (Hyundai-ს და დისტრიბუტორის კანონიერი ინტერესები, დაამუშაონ თქვენი პერსონალური მონაცემები ზემოთ მითითებული მიზნებისთვის).

- სამართლებრივი ვალდებულებების შესრულება: თქვენს პერსონალურ მონაცემებს სხვადასხვა სამართლებრივი ვალდებულებების შესასრულებლად (მუხლი 6 (1) გ) GDPR) ვამუშავებთ, კერძოდ, ავტომობილების მწარმოებლებისთვის მოქმედი კანონების. ასეთი ვალდებულებების მაგალითებია:
  - ავტომობილში გარკვეული ფუნქციონალური შესაძლებლობების უზრუნველყოფა, როგორიცაა „eCall“, 2015/758 რეგულაციის (EU) შესაბამისად,
  - გარკვეული ინფორმაციის (ანუ, სიჩქარის შემცირებისას, დახმარების ინტელექტუალური სისტემების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულის - ISA, მძღოლის კონტროლის დამხმარე სისტემების - DCAS და ა.შ.) გადაცემა შესაბამისი ეროვნული და/ან ევროპული ხელისუფლების ორგანოებისთვის, 2019/2144 რეგულაციის(EU) საფუძველზე;
  - სასამართლოების, ანსისხლის სამართლებრივი დევნის ორგანოებისთვის ინფორმაციის მიწოდება, მოქმედი სისხლის სამართლის, ან ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე.
- **სხვა მიზნები**: თქვენს პერსონალურ მონაცემებს სხვა მიზნებისთვის, მხოლოდ იმ შემთხვევაში ვამუშავებთ, თუ ეს სამართლებრივი მოთხოვნების საფუძველზეა (მუხ. 6 (1) (გ), GDPR) სავალდებულო, თუ შესაბამის დამუშავებაზე თანხმობა განაცხადეთ (მუხ. 6 (1) (ა), GDPR) ან თუ მონაცემების დამუშავება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არის კანონიერი.
- მონაცემების სხვა მიზნით დამუშავების შემთხვევაში, Hyundai ან/და დისტრიბუტორი დამატებით მოგაწვდით ინფორმაციას საჭიროებისამებრ.

4.1.3. ავტომატიზებული გადაწყვეტილებების მიღების დაუშვებლობა

არც Hyundai და არც დისტრიბუტორი არ მიიღებენ ავტომატიზებულ გადაწყვეტილებებს, მათ შორის, სერვისებთან დაკავშირებით პროფილების შექმნის მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საგანგებოდ, სხვა საშუალებებით არ გეცნობებათ ამის შესახებ.

4.2. Hyundai-ს მომხმარებლის ანგარიში

Hyundai-ს მომხმარებლის ანგარიში საჭიროა მრავალრიცხოვან სერვისებზე დასარეგისტრირებლად (რომლებსაც გაწვდით ჩვენ ან ჩვენი პარტნიორი მესამე მხარეები).

თქვენი პერსონალური მონაცემების შესაბამისი დამუშავება საჭიროა ხელშეკრულების დასადებად და შესასრულებლად (მუხ. 6 (1) (ბ), GDPR) და ეფუძნება ჩვენს კანონიერ ინტერესს, გავაუმჯობესოთ კლიენტთა მომსახურების ხარისხი მომხმარებელთა ცენტრალიზებული ანგარიშის შექმნის გზით (მუხ. 6 (1) (ვ), GDPR).

Hyundai-ს მომხმარებლის ანგარიში არის მომხმარებლის ცენტრალური ანგარიში, რომელშიც შეგიძლიათ მართოთ თქვენი ძირითადი პერსონალური მონაცემები, ასევე გამოიყენოთ დაკავშირებული სერვისებით სარგებლობისთვის, ერთიანი შესვლის სისტემის მეშვეობით.

Bluelink-ის სერვისებით სარგებლობისათვის, საჭიროა Hyundai-ს მომხმარებლის ანგარიშის შექმნა ან არსებული ანგარიშზე შესვლა.

ამ შემთხვევაში, Bluelink-ის სერვისები დაუკავშირდება თქვენს Hyundai-ს ანგარიშს და გამოჩნდება ძირითადი პერსონალური მონაცემები (თქვენი ელფოსტის მისამართი და მობილური ტელეფონის ნომერი, მისალმება, სახელი და გვარი, ქვეყანა და სასურველი ენა).
დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ ცალკე შეტყობინება კონფიდენციალურობის შესახებ Hyundai-ს ანგარიშთან დაკავშირებით, რომელიც ხელმისაწვდომია ბმულზე: https://eu-account.hyundai.com/auth/resources/o5704/login/hyundai-id/legal_en.html

4.3. Bluelink-ის სერვისების მიწოდება - ავტომობილის საინფორმაციო-გასართობი სისტემა

4.3.1. კონფიდენციალურობის პარამეტრები

თქვენი ინფოტაინმენტ სისტემის კონფიდენციალურობის პარამეტრებში შესაძლებლობა გაქვთ, ნებისმიერ მომენტში გააააქტიუროთ ყველა სატრანსპორტო სერვისი, აირჩიოთ სერვისების მხოლოდ გარკვეული კატეგორიები, ან ოფლაინ რეჟიმი გააააქტიუროთ. ჩვენ მხოლოდ იმ მონაცემებს დავამუშავებთ, რომლებიც ქვემოთ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, თქვენ მიერ არჩეული სერვისების მოწოდებისთვის არის აუცილებელი.

4.3.2. Hyundai Live

Hyundai Live საშუალებას გაძლევთ, წვდომა გქონდეთ შემდეგ ფუნქციებზე:

- ტრანსპორტის მოძრაობა Live რეჟიმში: ტრანსპორტის მოძრაობის შესახებ პირდაპირ, Live რეჟიმში ინფორმაციის მიღება მარშრუტების, ასევე ადგილზე ჩასვლის ზუსტი დროის გამოსათვლელად და ტრანსპორტის მოძრაობის არსებული სიტუაციის ჩვენება, თქვენი ადგილმდებარეობის მიხედვით
- პარკირება Live რეჟიმში: პარკირება ქუჩის პირას და ავტოსადგომებზე, ავტომობილის მიმდინარე ადგილმდებარეობასთან ახლოს, დანიშნულების ადგილთან ახლოს, ეკრანზე გამოსახულების სამოძრაო ღილაკთან ახლოს
- ავტოგასამართი სადგურები Live რეჟიმში: ინფორმაცია უახლოეს ავტოგასამართ სადგურებსა და საწვავის ფასებზე, თქვენი ადგილმდებარეობის მიხედვით
- ელექტრომობილების POI (ინტერესის პუნქტი) Live რეჟიმში (*მხოლოდ ელექტრომობილებისა და დამუხტვადი (plug-in) ჰიბრიდული ელექტრომობილებისთვის*): ინფორმაცია ახლომდებარე დასამუხტი სადგურების შესახებ, ხელმისაწვდომობის სტატუსის და დამმუხტველის ტიპის შესაბამისად, თქვენი ადგილმდებარეობის მიხედვით
- ამინდი: ინფორმაცია ადგილობრივი მეტეოროლოგიური პირობების შესახებ, თქვენი ადგილმდებარეობის მიხედვით
- Hyundai-ს მომსახურება: ინფორმაცია Hyundai-ს ახლომდებარე დილერებისა და მომსახურებების ლოკაციების შესახებ, თქვენი ადგილმდებარეობის მიხედვით
- ინტერესის პუნქტი (POI) Live რეჟიმში და უფასო Live ტექსტური ძიება: ინფორმაცია ახლომდებარე POI-ების შესახებ, თქვენი ადგილმდებარეობის მიხედვით, მათ შორის, ბრენდირებული პინები და გაფართოებული ძიება ავტომობილისთვის არსებულ შეთავაზებებთან ერთად, რაც POI-ს სხვადასხვა კატეგორიაში, მესამე მხარის აქციებით სარგებლობის საშუალებას გაძლევთ

- გამაფრთხილებელი შეტყობინებები ვიდეოკამერის / სახიფათო ზონების შესახებ (*თუ თქვენს ქვეყანაში კანონით დაშვებულია*): სისტემა ითვალისწინებს შეტყობინებების გამოგზავნას იმ ადგილებში, სადაც განსაკუთრებით ხშირია უბედური შემთხვევები და გაფრთხილებთ მომეტებული საშიშროების მქონე გზის მონაკვეთის, თუ სიჩქარის მაკონტროლებელი ვიდეოკამერების შესახებ
- სპორტული ლიგა: ინფორმაცია ბოლოდროინდელი სპორტული მოვლენების შედეგების შესახებ

Hyundai Live სერვისების მიწოდება, ყოველი ტრანზაქციისთვის, თქვენი ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომრის (VIN), გეოლოკაციის მონაცემების (მაგ., GPS-კოორდინატები ტრანსპორტის მოძრაობის Live რეჟიმში მიღებული ინფორმაციისთვის), თქვენი ავტომობილის SIM-ბარათზე ინტეგრირებული სქემის იდენტიფიკატორის (ICCID) და ინდივიდუალური მოთხოვნის ID-ის შეგროვებას და დამუშავებას საჭიროებს.

რაც შეეხება POI-ებს პირდაპირ რეჟიმში, რომლებიც მესამე მხარის სარეკლამო შინაარსს შეიცავს, შეიძლება საჭირო გახდეს ჩვენი სერვისის პროვაიდერთან (4.screen GmbH, Sailerstraße 17, 80809 Munich, გერმანია) შემდეგი მონაცემების გადაცემა იმისათვის, რომ, მოთხოვნის შესაბამისად, მოგაწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია: სავარაუდო საძიებო არე, საძიებო სიტყვა, საძიებო (POI) კატეგორია, მოწყობილობის ID, მოწყობილობის სავარაუდო მდებარეობა, სტერეოსისტემის ძირითადი მოწყობილობის ენა და თაობა, ავტომობილის ბრენდი, ძრავის ტიპი (მაგ. ელექტრო ან ბენზინის), ავტომობილის კლასი (მაგ., პატარა, SUV), ავტომობილის წარმოების წელი და ავტომობილის გამომშვები ქვეყანა.

გარდა ამისა, შესაბამისი ინფორმაციის და შეთავაზებების თქვენთვის მოწოდების შემდგომ, იქმნება შეთავაზების უნიკალური ID. აღნიშნული ID ასევე გადაეცემა ჩვენს მომსახურების პროვაიდერს, ღონისძიების ტიპით (მაგ., ნაჩვენები, დაწკაპუნებული, დაწყებული ნავიგაცია), ეკრანის ტიპით (მაგ., სტერეოსისტემის ძირითადი მოწყობილობა, აპლიკაცია) და დროის ნიშნულით, როდესაც დაიწყო შეთავაზების დამუშავება ინვოისის პროცესის დასადასტურებლად.

თუ ჩამოხვალთ და მანქანას გარკვეულ POI-ებზე დააყენებთ, ჩვენ ასევე ამ მოვლენასთან დაკავშირებულ შემდეგ მონაცემებს, ჩვენს სერვის მიმწოდებელს გადავცემთ, რათა მან მესამე მხარის კონტენტის ეფექტურობის შეფასება და შემოთავაზებული სერვისების გაუმჯობესება შეძლოს: პარკირების GPS პოზიცია გრძედით/განედით, მძიმის შემდეგ 4 ციფრზე მეტის მითითებით (მდებარეობის ზუსტი მონაცემების გარეშე) და პარკირების შესრულების დღე (ზუსტი დროის ნიშნული არ არის), მოწყობილობის ID-სთან და შეთავაზების ID-სთან ერთად.

გარდა ამისა, თუ შეთავაზებები და ინფორმაცია ავტომობილიდან პირდაპირ Bluelink-ის აპლიკაციაში იგზავნება, როგორც push-შეტყობინებები, ჩვენ ასევე დავამუშავებთ თქვენი მომხმარებლის პროფილის ID-ს, მაგ., თქვენი ელფოსტის მისამართს.

ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენი მომსახურებების განხორციელების მიზნით (მუხლი 6 (1) (ბ) GDPR) .

4.3.3. ხმის ამოცნობა

ხმის ამოცნობის ფუნქცია საშუალებას გაძლევთ, გამოიყენოთ წარმოთქმული ბრძანებები საინფორმაციო-გასართობ სისტემაზე წვდომისა და მის სამართავად, ასევე, დაკავშირებული მობილური მოწყობილობის მეშვეობით ტექსტური შეტყობინებების შესაქმნელად და გასაგზავნად.

ამ ფუნქციისთვის მუშავდება და Bluelink-ის ღრუბლოვან გარემოში იგზავნება შემდეგი კატეგორიების პერსონალური მონაცემები: ხმის ჩანაწერი, გეოლოკაციის

მონაცემები (GPS-კოორდინატები), ინტერესის სფეროს პუნქტი (POI) და Cerence-ის მომხმარებლის ID.
ეს უკანასკნელი არის Cerence GmbH, Aachen, Germany-ს, ამ კონკრეტულ სერვისებზე ჩვენი მონაცემთა დამმუშავებლის, უნიკალური იდენტიფიკატორი სერვერზე რეგისტრაციისთვის.
არ არსებობს კავშირი Cerence-ის მომხმარებლის ID-სა და ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერს (VIN) ან ნებისმიერ სხვა იდენტიფიკატორს შორის, რაც ნიშნავს, რომ Cerence GmbH ვერ მოახდენს მისთვის გადაცემული მონაცემების მიხედვით ფიზიკური პირის იდენტიფიკაციას.
თქვენი ავტომობილის დაქოქვის შემდეგ ხმის ამოცნობის ფუნქცია ონლაინ რეჟიმში, წინასწარ განსაზღვრული პარამეტრებით აქტიურდება. ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენი სერვისების განხორციელების მიზნით (მუხ. 6 (1) (ბ), GDPR).
ონლაინ ხმის ამოცნობის ფუნქციის გამოყენებისას ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს Bluelink-ის ღრუბლოვან გარემოში.
ჩვენ, ასევე, ვაგროვებთ როგორც ხმის ნიმუშებს, ისე GPS-კოორდინატებს და ვინახავთ მაქსიმუმ 90 დღის განმავლობაში, ხმის ამოცნობის სერვისის შესრულების და გაუმჯობესების მიზნით.
ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენი სერვისების შესრულების მიზნით (მუხ. 6 (1) (ბ), GDPR), ასევე სერვისების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ჩვენი კანონიერი ინტერესების საფუძველზე (მუხ. 6 (1) (ვ), GDPR).
როდესაც ხმის ონლაინ ამოცნობის ფუნქციას იყენებთ, თქვენი ხმის ნიმუშებსა და GPS-კოორდინატებს ამუშავებს ჩვენი სერვისის პროვაიდერი Cerence GmbH, Aachen, German (მონაცემთა დამმუშავებელი) და მისი ქვედამმუშავებლები, რომლებიც შეიძლება მდებარეობდნენ ევროკავშირის / ევროპის ეკონომიკური ზონის ფარგლებს გარეთ არსებულ ქვეყნებში და ვერ უზრუნველყონ მონაცემთა დაცვის ადეკვატური დონე.
თქვენ შეგიძლიათ გათიშოთ ხმის ონლაინ ამოცნობის ფუნქცია და გამოიყენოთ ხმის კავშირგარე (offline) რეჟიმში ამოცნობის სერვისები, რა შემთხვევაშიც მონაცემები თქვენი ავტომობილის გარეთ არ გადაიცემა.
თუ არ გსურთ თქვენი ხმის ნიმუშების და GPS-კოორდინატების დამუშავება ჩვენ მიერ, შეგიძლიათ ისარგებლოთ კავშირგარეშე რეჟიმში ხმის ამოცნობით, რომელიც არ იყენებს თქვენი ხმის ნიმუშებს და GPS-კოორდინატებს ხმის ამოცნობის სერვისის გასაუმჯობესებლად.

4.3.4. ავტომობილის დიაგნოსტიკა

ავტომობილის დიაგნოსტიკა თქვენს ავტომობილში ინტეგრირებული ყველა მართვის ბლოკიდან აგროვებს უწესივრობის აქტიურ კოდებს (trouble codes) (ანუ ავტომობილის შეცდომის მანიშნებელ შეტყობინებებს), ასევე, ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერს (VIN).
უწესივრობის აქტიური კოდები და ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN) იგზავნება ჩვენს სერვერზე შემდგომი ანალიზისთვის.
საინფორმაციო-გასართობი სისტემის „ავტომობილის დიაგნოსტიკის“ სექციაში შეგიძლიათ ნახოთ თქვენი ავტომობილის ყველა აქტიური უწესივრობის კოდი.
ამ მონაცემებს ვიყენებთ, რათა მოგაწოდოთ ინფორმაცია თქვენს ავტომობილთან დაკავშირებული პრობლემის შესახებ.
ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ავტომობილის დიაგნოსტიკისთვის, ჩვენი სერვისების შესრულების მიზნით (მუხ. 6 (1) (ბ), GDPR).
რამდენადაც ამის გაკეთება კანონით მოგვეთხოვება, ჩვენ დავამუშავებთ თქვენს ზემოხსენებულ პერსონალურ მონაცემებს პროდუქტების მონიტორინგის მიზნით და

პროდუქტების უსაფრთხოების მოთხოვნათა დაცვის შესაბამისად (მუხ. 6 (1) (გ), GDPR).
პროდუქტების გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით, ზემოაღნიშნული მონაცემების დამუშავების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, ასევე, იხილეთ 4.5 პუნქტი ქვემოთ.

4.3.5. დაკავშირებული მარშრუტის განსაზღვრა

დაკავშირებული მარშრუტის განსაზღვრა საგზაო მოძრაობის უფრო ზუსტი პროგნოზის, ჩასვლის დროის უფრო ზუსტად განსაზღვრისა და მარშრუტის უფრო საიმედო ხელახალი გამოთვლის საშუალებას იძლევა, არამხოლოდ თქვენს საინფორმაციო-გასართობ სისტემაში, არამედ Bluelink-ის ღრუბლოვან გარემოში, შესაბამისი მონაცემების დამუშავების მეშვეობით.
ამ ფუნქციისთვის მუშავდება და Bluelink-ის ღრუბლოვან გარემოში იგზავნება შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები: თქვენი ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN), გეოლოკაციის მონაცემები (GPS-კოორდინატები) და ნავიგაციის მონაცემები (მაგ., ტრანსპორტის მოძრაობა რეალურ დროში; საგზაო მოძრაობის შესახებ ინფორმაციის ნიმუში).
ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენი სერვისების შესრულების მიზნით (მუხ. 6 (1) (ბ), GDPR).

4.3.5.1. სასურველი მარშრუტი

რჩეული მარშრუტი საშუალებას გაძლევთ, გარკვეულ საწყის წერტილსა და საბოლოო პუნქტს შორის, თქვენი ხშირად გამოყენებული სამოგზაურო მარშრუტები შეადაროთ, რათა ისეთი მარშრუტი გავიანგარიშოთ, რომელიც თქვენს პრეფერენციებს შეესაბამება.
ამ ფუნქციისთვის, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება და ჩვენს Bluelink ღრუბლოვან გარემოში იგზავნება: თქვენი მანქანის SIM ბარათი (ICCID) და თქვენ მიერ ხშირად გამოყენებული მარშრუტები, დანიშნულების ადგილის ინფორმაციის და მარშრუტზე რეალური მონაცემების ჩათვლით.
თქვენს პერსონალურ მონაცემებს, ჩვენი სერვისების განხორციელების მიზნით ვამუშავებთ (მუხლი 6 (1) b) GDPR).

4.3.5.2. მარშრუტით კმაყოფილება

საინფორმაციო-გასართობი სისტემის მეშვეობით, შესაძლოა, გთხოვოთ თქვენი გამოხმაურების გაზიარება მარშრუტის დადგენის და ადგილმდებარეობის შესახებ მოწოდებული ინფორმაციით თქვენი კმაყოფილების შესაფასებლად.
ამ ფუნქციისთვის ჩვენ ვამუშავებთ იმავე კატეგორიების პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც მოცემულია 4.3.1-ე პუნქტში, ასევე, თქვენი კმაყოფილების ინდექსს.
ამ მიზნებისთვის, თქვენი მონაცემების დამუშავების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს Hyundai-ს კანონიერი ინტერესი, გააუმჯობესოს მიწოდებული სერვისები (მუხ. 6 (1) (ვ), GDPR).

4.3.6. OTA (უსადენო) განახლება

OTA განახლება საშუალებას გაძლევთ, მიიღოთ პროგრამული უზრუნველყოფის უსადენო („over-the-air“) განახლებები („OTA Updates“) როგორც ავტომობილის სისტემის, ისე რუკისა და საინფორმაციო-გასართობი სისტემისთვის.
თქვენი საინფორმაციო-გასართობი სისტემა რეგულარულად შეამოწმებს კომპიუტერული პროგრამის ახალი ვერსიების ხელმისაწვდომობას, ავტომატურად ჩამოტვირთავს პროგრამული უზრუნველყოფის ნებისმიერ ხელმისაწვდომ მოდიფიკაციას თქვენს ავტომობილში და უზრუნველყოფს შესაბამის დაყენებას.

სურვილისამებრ, შეგიძლიათ OTA განახლების იმ მომენტში ან მოგვიანებით დასრულება.
ინფოტაინმენტ სისტემაში გადამრთველის გამორთვით („პარამეტრები“ -> „Bluelink“-> „კონფიდენციალურობის პარამეტრები“), ამ ფუნქციის გამორთვა შეგიძლიათ.
ასევე, საინფორმაციო-გასართობი სისტემის მეშვეობით, შეგიძლიათ გამორთოთ Bluelink-ის კავშირი თქვენს ავტომობილში („პარამეტრები“ -> „Bluelink“ -> „Bluelink-ის დეაქტივაცია“).
თუმცა, OTA განახლებების გამორთვის შემთხვევაში, შესაძლოა, სათანადოდ არ იმუშაოს თქვენმა ავტომობილმა ან მოწოდებულმა სერვისებმა (როგორიცაა, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სისტემები, საინფორმაციო-გასართობი სისტემა, Bluelink) .

4.3.6.1. ავტომობილის სისტემის OTA განახლება

ავტომობილის სისტემასთან დაკავშირებით OTA განახლებები შესაძლოა სხვადასხვა მიზეზით და მიზნით მოგაწოდოთ, კერძოდ, ამა თუ იმ დეფექტის საგარანტიო პერიოდში გამოსასწორებლად, მწარმოებლის გარანტიის ფარგლებში ან უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა მიზეზების გამო.
ჩვენ ასევე უზრუნველვყოფთ ავტომობილის სისტემასთან დაკავშირებული OTA განახლებების ეფექტურ დაყენებას და მონიტორინგს.
ამ მიზნით, მუშავდება და Bluelink-ის ღრუბლოვან გარემოში იგზავნება შემდეგი კატეგორიის მონაცემები: თქვენი ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN), გამოყენების ისტორია (OTA განახლება), დიაგნოსტიკური ინფორმაცია (შეცდომის კოდები, OTA შედეგი, პროგრამული უზრუნველყოფის აღდგენის შედეგი) და ინფორმაცია პროგრამული უზრუნველყოფის ვერსიის შესახებ (ელექტრონული მართვის ბლოკი).
ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ავტომობილის მწარმოებლის სამართლებრივი ვალდებულებების შესაბამისად (მუხ. 6 (1) (გ) GDPR (მაგ., პროდუქტის უსაფრთხოების მოთხოვნების სფეროში)), ასევე ჩვენი სერვისების განხორციელების მიზნით (მუხ. 6 (1) (ბ) GDPR) და ჩვენი კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე, რათა ეფექტურად წარვმართოთ ჩვენი OTA განახლების პროცესები (მუხლი 6 (1) (ვ) GDPR).

4.3.6.2. რუკებისა და საინფორმაციო-გასართობი სისტემის OTA განახლება

რუკებისა და საინფორმაციო-გასართობი სისტემის OTA განახლებები საშუალებას გაძლევთ, მიიღოთ უახლესი რუკები და საინფორმაციო-გასართობი პროგრამული უზრუნველყოფის განახლებები თქვენი ავტომობილისთვის.
ამ ფუნქციისთვის მუშავდება და Bluelink-ის ღრუბლოვან გარემოში იგზავნება შემდეგი კატეგორიების პერსონალური მონაცემები: თქვენი ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN), სტერეოსისტემის ძირითადი მოწყობილობის მწარმოებლის სახელწოდება, სტერეოსისტემის ძირითადი მოწყობილობის მოდელი, სტერეოსისტემის ძირითადი მოწყობილობის აპარატურული უზრუნველყოფის ვერსია, სტერეოსისტემის ძირითადი მოწყობილობის სისტემური ვერსია, მობილური ქსელის ოპერატორი, ავტომობილის მოდელის სახელწოდება, ავტომობილის მოდელის გამოშვების წელი, ავტომობილის რეგიონი და თქვენ მიერ არჩეული ენა.
ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენი სერვისების შესრულების მიზნით (მუხ. 6 (1) (ბ), GDPR).

4.3.7. შეტყობინებების ცენტრი

შეტყობინებების ცენტრი საშუალებას გვაძლევს, გამოგიგზავნოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია თქვენი ავტომობილის შესახებ.

ამ მომსახურებას მხოლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციისთვის გამოვიყენებთ. ინფორმაცია თქვენი ავტომობილის საინფორმაციო-გასართობ სისტემაში, ამომხტარი ფანჯრის სახით გამოჩნდება.
ამ ფუნქციისთვის მუშავდება შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები: წაკითხვის სტატუსი; წაკითხვის დრო.
ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენი მომსახურებების განხორციელების მიზნით (მუხლი 6 (1) (ბ) GDPR).

4.3.8. კალენდარი

თქვენს სმარტფონში არსებული Google ან Apple კალენდრის სინქრონიზაცია შესაძლებელია თქვენი ავტომობილის საინფორმაციო-გასართობ სისტემაში ინტეგრირებული კალენდრის ფუნქციის მეშვეობით, რაც ნავიგაციის დანიშნულების ადგილის დასაყენებლად გამოიყენება.
ამ ფუნქციისთვის მუშავდება და Bluelink-ის ღრუბლოვან გარემოში იგზავნება შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები: ელფოსტის მისამართი, კალენდრის ID, ტელეფონის ნომერი, Google-ის მარკერი / iCloud-ის პაროლი და კალენდარში ჩანაწერები (მაგ., განრიგის სათაური, თარიღი/დრო, მისამართი, შენიშვნა/ცნობა, დასწრება და ა.შ.).
ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენი სერვისების შესრულების მიზნით (მუხ. 6 (1) (ბ), GDPR).

4.3.9. მოწონების ფუნქცია

მოწონების ფუნქცია USB და Bluetooth მუსიკისა და რადიოსთვის საშუალებას გაძლევთ, აირჩიოთ და შექმნათ სიმღერების ნუსხა თქვენი რჩეული სიმღერებით. სიმღერების მოსაწონებლად ან მოწონების გასაუქმებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ „ზემოთ მიმართული ცერა თითი“-ს და „ქვემოთ მიმართული ცერა თითი“-ს გამოსახულებიანი ღილაკები, რომლებიც ინტეგრირებულია საინფორმაციო-გასართობი სისტემის მუსიკის ფუნქციაში.
ამ ფუნქციისთვის მუშავდება შემდეგი კატეგორიების პერსონალური მონაცემები: წყაროს ტიპი (USB მუსიკა, რადიო, Bluetooth მუსიკა), სიმღერის, შემსრულებლისა და ალბომის დასახელება, ინფორმაცია მოწონების / მოწონების გაუქმების შესახებ, ინფორმაცია ადგილმდებარეობის შესახებ (GPS), გარემომცველი ჰაერის ტემპერატურა, ავტომობილის სიჩქარე, ამინდი (თქვენი მიმდინარე ადგილმდებარეობის მიხედვით) და ინფორმაცია დროის შესახებ.
ჩვენ ვამუშავებთ პერსონალურ მონაცემებს ჩვენი სერვისების შესრულების მიზნით (მუხ. 6 (1) (ბ), GDPR) და ამ სერვისების მიწოდების ფარგლებში, ჩვენი კანონიერი ინტერესის გათვალისწინებით (მუხ. 6 (1) (ვ), GDPR).

4.3.10. მუსიკის სტრიმინგი

მუსიკის სტრიმინგის ფუნქცია საშუალებას გაძლევთ, გაუშვათ მუსიკა საინფორმაციო-გასართობი სისტემის მეშვეობით პირდაპირ თქვენს ავტომობილში, მუსიკის სტრიმინგის გარკვეული სერვისებიდან. ამ ფუნქციის გამოსაყენებლად აუცილებელია, გამოწერილი გქონდეთ მუსიკის სტრიმინგის შესაბამისი სერვისი და ტელეფონზე დაინსტალირებული იყოს Bluelink-ის აპლიკაცია აქტივაციის პროცესისთვის.
თქვენი ანგარიშის მუსიკის სტრიმინგის არჩეულ სერვისთან დასაკავშირებლად, თქვენი ავტორიზაციის მონაცემებს თავდაპირველად ამუშავებს მუსიკის სტრიმინგის პლატფორმა და შემდეგ, ფსევდონიმიზებული სახით, ჩვენ გვეგზავნება, ვიდრე ისინი Bluelink-ის ღრუბლოვან გარემოში შეინახება.
ინფორმაცია თქვენ მიერ მოძიებული და არჩეული მუსიკის კონტენტის შესახებ ავტომობილიდან Bluelink-ის ღრუბლოვან გარემოში გადაეცემა. ამის შემდეგ, მოთხოვნა ეგზავნება მუსიკის სტრიმინგის შესაბამის პლატფორმას, რომელიც მუსიკის

კონტენტს პირდაპირ ავტომობილში გადასცემს. ბოლოს მოსმენილი მუსიკის კონტენტი დროებით ინახება ავტომობილის სისტემაში.
<u>ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება:</u>
მომხმარებლის ავთენტიფიკაციის მონაცემები (მაგ., ავტორიზაციის ფსევდონიმიზებული მონაცემები სტრიმინგის პლატფორმის ანგარიშისთვის, მოწყობილობის ID, მომხმარებლის ID), ინფორმაცია მომსახურების შესახებ (მომსახურების ავტორიზაციის კოდი, გამოწერის სტატუსი, სისტემაში შესვლის მონაცემები, მომსახურების ID, სესიის ID), ინფორმაცია ავტომობილის შესახებ (VIN ან ავტომობილის ID, ძრავის ტიპი, გაყიდვის ქვეყანა, მოდელის სახელწოდება, მოდელის გამოშვების წელი, სტერეოსისტემის ძირითადი მოწყობილობის პლატფორმა, სტერეოსისტემის ძირითადი მოწყობილობის მოდელი), ასევე, ინფორმაცია მოთხოვნილი მუსიკის კონტენტის შესახებ (მაგ., უნიკალური იდენტიფიკატორი, ტიპი, სახელწოდება, სათაური, შემსრულებელი, ალბომის დასახელება, ჟანრი, ხანგრძლივობა, კონტენტის თარიღი, URL-ები).
ავტომობილში შენახული თქვენი სტრიმინგის პლატფორმის ანგარიში დაკავშირებულია თქვენ ინდივიდუალური მომხმარებლის პროფილთან ავტომობილში. თქვენი მომხმარებლის პროფილის წაშლით სტრიმინგის პლატფორმის ანგარიში ავტომატურად გაითიშება ავტომობილიდან.
ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენი სერვისების შესრულების მიზნით (მუხ. 6 (1) (ბ) GDPR).

4.4. Bluelink-ის სერვისების მიწოდება - აპლიკაცია

4.4.1. დისტანციური სერვისები

აპლიკაციის მეშვეობით ჩვენ მოგაწვდით ქვემოთ ჩამოთვლილ დისტანციურ მომსახურებებს. ისინი გააქტიურდება წინასწარ განსაზღვრულ პარამეტრებზე, თუ არ მოხდება მათი ცალკე-ცალკე, ან ერთიანად გამორთვა:

- ა) დისტანციური ჩაკეტვა და გაღება (შეგიძლიათ ავტომობილის კარების ჩაკეტვა და გაღება; *Hyundai-ს ყველა ავტომობილისთვის*)
- ბ) ფანჯრის დისტანციური ვენტილაცია (თქვენი ავტომობილის ფანჯრების დისტანციურად გაღება და დახურვა შეგიძლიათ; მხოლოდ *Hyundai-ს ზოგიერთი ავტომობილისთვის*)
- გ) დისტანციური საყვირი და განათება (შეგიძლიათ, თქვენი ავტომობილის ფარები და საყვირი დისტანციურად გააააქტიუროთ; მხოლოდ *Hyundai-ს ზოგიერთი ავტომობილისთვის*)
- დ) დისტანციური განათება (შეგიძლიათ, დისტანციურად ჩართოთ ფარები; *მხოლოდ Hyundai-ს ზოგიერთი ავტომობილისთვის*)
- ე) დისტანციური დამუხტვა (შეგიძლიათ, დისტანციურად გააააქტიუროთ ელექტრო ელემენტების დამუხტვის ფუნქცია; *Hyundai-ს ყველა ელექტრომობილისა და დასამუხტი ჰიბრიდისთვის (PHEV)*)
- ვ) დაგეგმილი დამუხტვა (შეგიძლიათ, დისტანციურად მომართოთ ელექტრო ელემენტების დამუხტვის განრიგი (*Hyundai-ს ყველა ელექტრომობილისა და დასამუხტი ჰიბრიდისთვის (PHEV),* მათ შორის, მოცემული ტემპერატურა*; Hyundai-ს ყველა ელექტრომობილისთვის*)
- ზ) დისტანციური კლიმატ კონტროლი (შეგიძლიათ, განსაზღვროთ ტემპერატურა და დისტანციურად გააააქტიუროთ ჰაერის კონდიცირება; *Hyundai-ს ყველა ელექტრომობილისთვის*)

- თ) დასამუხტი კარის დისტანციურად გახსნა და დაკეტვა (თქვენი ავტომობილის დასამუხტი კარის გაღება და დაკეტვა შეგიძლიათ დისტანციურად; *მხოლოდ Hyundai-ს ზოგიერთი ელექტრომობილისთვის, არა Hyundai-ს დასამუხტი ჰიბრიდებისთვის)*
- ი) ავარიული/გაბარიტული ფარების დისტანციური მართვა (შეგიძლიათ დისტანციურად გამორთოთ ფარები აპლიკაციის მეშვეობით, თუკი ანთებული დარჩება ავარიული/გაბარიტული ფარები; *მხოლოდ Hyundai-ს ზოგიერთი ავტომობილისთვის*)
- კ) ელემენტების დისტანციური კონდიცირება (შეგიძლიათ ელემენტების ტემპერატურის დისტანციურად ოპტიმიზება ავტომობილის დამუხტვის წარმადობის გასაუმჯობესებლად; *მხოლოდ Hyundai-ს ზოგიერთი ელექტრომობილისთვის*)
- ლ) გამგზავრების დრო (შეგიძლიათ დაგეგმილი კლიმატის გააქტიურება გამგზავრების განრიგის შესაბამისად; *Hyundai-ს ზოგიერთი ელექტრომობილისთვის*)
- მ) დასამუხტი დენი (შეგიძლიათ ნელი დამმუხტველიდან მიწოდებული დენის დარეგულირება; *მხოლოდ Hyundai-ს ზოგიერთი ელექტრომობილისთვის*)
- ნ) ჩემი ავტომობილის მოძებნა (შეგიძლიათ ინტეგრირებულ რუკაზე თქვენი Hyundai-ს ავტომობილის პარკირების ადგილის განსაზღვრა; *Hyundai-ს ყველა ავტომობილისთვის*)
- ო) ავტომობილში გაგზავნა (შეგიძლიათ ინტერნეტში მოიძიოთ ინტერესის პუნქტები (POI) და მისამართები, რათა მონაცემები თქვენი სმარტფონის აპლიკაციიდან თქვენი ავტომობილის საინფორმაციო-გასართობ სისტემას გადაუგზავნოთ)
- პ) ჩემი ავტომობილის ინტერესის პუნქტები (POI) (ეს ფუნქცია ახდენს თქვენს მიერ შენახული POI-ს სინქრონიზებას საინფორმაციო-გასართობ სისტემასა და აპლიკაციას შორის; *Hyundai-ს ყველა ავტომობილისთვის)*
- ჟ) დანიშნულების ადგილამდე ნავიგაცია (ინფორმაცია თქვენი ავტომობილის მიმდინარე მდებარეობისა და დანიშნულების ადგილის შესახებ (მაგ., სახელი, მისამართი, გეოლოკაციის მონაცემი) თქვენს სმარტფონში იგზავნება, რათა გაჩვენოთ მიმართულება სადგომიდან დანიშნულების ადგილამდე, Google Maps-ის გამოყენებით; *Hyundai-ს ყველა ავტომობილისთვის*)
- რ) მანქანამდე ნავიგაცია (ინფორმაცია თქვენი ავტომობილის მიმდინარე მდებარეობის შესახებ თქვენს სმარტფონში იგზავნება, რათა თქვენი ადგილმდებარეობიდან (მაგ., სახელი, მისამართი, გეოლოკაციის მონაცემი) თქვენს ავტომობილამდე Google Maps-ის გამოყენებით მიგიყვანოთ; *Hyundai-ს ყველა ავტომობილისთვის*)
- ს) ვალეტ პარკირების რეჟიმი (იცავს თქვენს პირად ინფორმაციას, რისთვისაც საინფორმაციო-გასართობ სისტემაზე მხოლოდ ვალეტ რეჟიმის ეკრანით გიჩვენებთ, ვიდრე არ შეიყვანთ ადრე არჩეულ პაროლს; თქვენს სმარტფონზე აგზავნის ინფორმაციას პარკირების რეჟიმის ამჟამინდელი სტატუსის შესახებ (ჩართული/გამორთული), ავტომობილის მიმდინარე მდებარეობის შესახებ (GPS კოორდინატები), პარკირების რეჟიმის დაწყება/დასრულების დროის, პარკირების რეჟიმის გარბენის/დროის, ავტომობილის მაქსიმალური

სიჩქარის, გარბენის მანძილის და ძრავის თავისუფალი სვლით მუშაობის დროის შესახებ; *Hyundai-ს ყველა ავტომობილისთვის*)

- ტ) ელემენტების დამუხტვის სტატუსი (აჩვენებს ელექტრო ძრავის ელემენტების დამუხტვის სტატუსს; *Hyundai-ს ყველა ელექტრომობილისა და დასამუხტი ჰიბრიდისთვის)*

- უ) Push-შეტყობინებები გარკვეული შემთხვევებისთვის (აპლიკაცია Push-შეტყობინებებს თქვენს სმარტფონზე გარკვეულ შემთხვევებში აგზავნის, მაგალითად: თუ თქვენი Hyundai-ს ავტომობილი განბლოკილია და გააქტიურებულია ძარცვის სიგნალიზაცია, თქვენი ავტომობილის ფანჯრები ღიაა, უკანა სავარძლები განგაშის სიგნალს იძლევა, გამაფრთხილებელი სიგნალია ძრავის თავისუფალი სვლის რეჟიმში მუშაობის შესახებ, გამაფრთხილებელი სიგნალია მაღალი ძაბვის ელემენტების განმუხტვის შესახებ, გააქტიურებულია კლიმატის კონტროლის სტატუსი, დამუხტვის სტატუსი, პროგრამული უზრუნველყოფის განახლების სტატუსი, ვალეტ პარკირების რეჟიმი ჩართულია/გამორთულია და ა.შ.; *Hyundai-ს ყველა ავტომობილისთვის. სპეციფიკაცია განსხვავდება ქვეყნის ან ავტომობილის მოდელის შესაბამისად)*

თქვენ შეგიძლიათ დისტანციური მომსახურებების გამორთვა კატეგორიების მიხედვით.
იმისთვის, რომ მოგაწოდოთ დისტანციური მომსახურებები აპლიკაციით დაკავშირების შემდეგ, თქვენს ავტომობილსა და ჩვენს Bluelink-ის ღრუბლოვან გარემოს შორის მყარდება კავშირი, რომელიც ავტომობილთან დაკავშირებული გარკვეული მონაცემების დამუშავებას მოითხოვს, როგორიცაა, თქვენი ავტომობილის SIM ბარათის IP მისამართი, ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN) და აპლიკაციაში არსებული მომხმარებელთან დაკავშირებული დამატებითი მონაცემები (თქვენი მოწყობილობის IP მისამართი, PIN და მომხმარებლის ანგარიშის სხვა ინფორმაცია, როგორიცაა თქვენი მომხმარებლის სახელი)
დისტანციური მომსახურებების მიწოდება, თქვენს ავტომობილთან დაკავშირებული გარკვეული მონაცემების შეგროვებას და დამუშავებას მოითხოვს, მათ შორის, პაროლის, თქვენი ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომრის (VIN) და გეოლოკაციის მონაცემების (მაგ. GPS კოორდინატები ფუნქციისთვის „ჩემი ავტომობილის მოძებნა“), თქვენი ავტომობილის SIM ბარათის იდენტიფიკატორის (ICCID), მისამართის მონაცემების და ავტომობილის ტექნიკური მონაცემების (მაგ. ინფორმაცია ავტომობილის მდგომარეობის შესახებ, როგორიცაა ჩართვა/გამორთვა, ავტომობილის სიჩქარე, ფარების მდგომარეობა, დაბლოკვის სტატუსი).
ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენი მომსახურებების განხორციელების მიზნით (მუხლი 6 (1) (ბ) GDPR).

4.4.2. ინფორმაცია ავტომობილის სტატუსის შესახებ Bluelink-ის მეშვეობით

აპლიკაციის მეშვეობით ჩვენ გაწვდით შემდეგ ინფორმაციას ავტომობილის სტატუსის შესახებ:

- ა) ყოველთვიური ანგარიში ავტომობილის შესახებ (გაწვდით ინფორმაციას თქვენი Hyundai-ს ავტომობილის გამოყენების შესახებ და დიაგნოსტიკურ ინფორმაციას, რომელიც მოიცავს აირბალიშს, მუხრუჭებს, საბურავის წნევას და ა.შ. (იხილეთ 4.4.3 პუნქტი); *Hyundai-ს ყველა ავტომობილისთვის*)

- ბ) სტატუსის განახლება (გაწვდით ინფორმაციას თქვენი Hyundai-ს ავტომობილის სტატუსზე, რაც ეხება შემდეგს: მანძილი, რომელსაც საწვავის რეზერვი გაივლის, საწვავის დონე, ძრავის ჩართული/გამორთული

მდგომარეობა, კარის დაკეტვის სტატუსი, კლიმატის კონტროლის სტატუსი, უკანა კარის ღია/დახურული მდგომარეობა, წინა კაპოტის ღია/დახურული მდგომარეობა, ფანჯრის ღია/დახურული მდგომარეობა, ლიუკის ღია/ დახურული მდგომარეობა, საბურავის წნევის სტატუსი, ნათურის სტატუსი (*Hyundai-ს ყველა ავტომობილისთვის*); მაღალძაბვიანი ბატარეის დამუხტვის სტატუსი, დაგეგმილი დამუხტვის ჩართვა/გამორთვა, სატენის კარის ღია/ დახურული მდგომარეობა, საჭის თვლის გათბობის სტატუსი, გალღვობის ჩართული/გამორთული მდგომარეობა, უკანა ფანჯრის გათბობის ჩართვა/ გამორთვა, გვერდითი სარკის გათბობა (*Hyundai-ს ყველა ელექტრომობილის და დასამუხტი ჰიბრიდისთვის (PHEV)*; დაგეგმილი კლიმატის კონტროლის ჩართული/გამორთული მდგომარეობა (*Hyundai-ს ყველა ელექტრომობილისთვის*))

- სივრცული ხედვის მონიტორი (შეგიძლიათ ორ საათში ორჯერ, თქვენი Hyundai-ს მანქანის გარშემო არსებული ხედიდან კადრები მოითხოვოთ და ისინი , მათი გადაღების დროსთან ერთად, თქვენს მოწყობილობაზე (სმარტფონზე) შეინახოთ)
- გ) ჩემი მგზავრობები (გაწვდით ინფორმაციას ყოველი თვის/დღის განმავლობაში Hyundai-ს ავტომობილის გამოყენების შესახებ, მოძრაობის ხანგრძლივობის, გარბენის, ავტომობილის საშუალო სიჩქარისა და ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარის ჩათვლით; (*Hyundai-ს ყველა ავტომობილისთვის*)
- დ) ენერგომოხმარება (გაწვდით ინფორმაციას თქვენი Hyundai-ს ავტომობილის ყოველდღიური და ყოველთვიური ენერგომოხმარების შესახებ, ჯამური და საშუალო ენერგომოხმარების, გავლილი მანძილისა და რეკუპერაციის ჩათვლით; *Hyundai-ს ყველა ელექტრომობილისთვის*)

აპლიკაციით დაკავშირების შემდეგ, ავტომობილის სტატუსის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად, თქვენს ავტომობილსა და Bluelink-ის ღრუბლოვან გარემოს შორის მყარდება კავშირი, რისთვისაც საჭიროა ავტომობილთან დაკავშირებული გარკვეული მონაცემების დამუშავება, როგორიცაა, თქვენი ავტომობილის SIM-ბარათის IP-მისამართი, ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN) და მომხმარებლის სხვა მონაცემები აპლიკაციაში (თქვენი მოწყობილობის IP-მისამართი, PIN-კოდი და მომხმარებლის ანგარიშის სხვა ინფორმაცია, როგორიცაა, მაგალითად, მომხმარებლის სახელი).

ავტომობილის სტატუსის შესახებ ინფორმაციის მიწოდება საჭიროებს თქვენს ავტომობილთან დაკავშირებული გარკვეული მონაცემების (მაგ., მოძრაობის ხანგრძლივობა, გარბენი, ავტომობილის საშუალო სიჩქარე, ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე) და ტექნიკური მაჩვენებლების (მაგ., ინფორმაცია ავტომობილის მდგომარეობაზე, როგორიცაა ძრავის ჩართვა/გამორთვა, კარის ჩაკეტვის სტატუსი და ა.შ., როგორც ჩამოთვლილია ზემოთ) შეგროვებას და დამუშავებას.

ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენი სერვისების განხორციელების მიზნით (მუხ. 6 (1) (ბ), GDPR).

ჩვენ არ გვაქვს წვდომა გამოსახულების მონაცემებზე, რომლებიც სივრცული ხედვის მონიტორის ფუნქციაში მოითხოვეთ. სურათის ყველა მონაცემი ჩვენს სერვერებზე დაშიფრული ფორმატით გადაიცემა და მას შემდეგ წაიშლება, რაც მონაცემები აპლიკაციას გადაეცემა.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ GDPR-ის შესაბამისად, თქვენ მონაცემთა მაკონტროლებელი ხართ, თუ ამ ფუნქციის გამოყენებისას, გადაიღებთ ფიზიკური

პირის გამოსახულებებს, ან გამოსახულებებს, რომლებიც შეიძლება ფიზიკურ პირს დაუკავშირდეს (როგორიცაა სანომრე ნიშნები).
ეს ნიშნავს, რომ თქვენ ამ კონტექსტში, დამუშავების ყველა მოქმედებაზე პასუხისმგებელი ხართ, კერძოდ, იმის ვალდებულებაზე, რომ ინფორმაციის სუბიექტებს (მაგ. გამვლელებს, ან სხვა მძღოლებს) იმის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოთ, რომ ისინი შეიძლება ამ სურათებზე იყვნენ გამოსახული და იმაზე, თუ ამ სურათების მონაცემებს როგორ ამუშავებთ.
თუ თქვენ GDPR-ის რომელიმე დებულებას არღვევთ, საზედამხედველო ორგანოების მხრიდან, წინააღმდეგობა და სანქციები (მათ შორის ჯარიმები) გელით. დამატებითი ინფორმაციისთვის, გამოყენების ჩვენს წესებს გაეცანით.

4.4.3. მანქანის გაზიარება

თქვენ შეგიძლიათ დისტანციური სერვისები გაუზიაროთ სხვა მომხმარებლებს აპლიკაციაში ხელმისაწვდომი ფუნქციით „მანქანის გაზიარების მოთხოვნა“.
ამის შემდეგ, გაზიარების მოთხოვნის ინიცირების და დამუშავების მიზნით, ჩვენ ვამუშავებთ ავტომობილთან და მომხმარებლის ანგარიშთან დაკავშირებულ გარკვეულ მონაცემებს, როგორიცაა თქვენი PIN-კოდი, ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN), თქვენი მომხმარებლის სახელი და სხვა შესაბამისი მომხმარებლის ტელეფონის ნომერი.
გაზიარების მოთხოვნის ინფორმაცია, როგორიცაა თქვენი სახელი და PIN-კოდი, გადაიცემა და დამუშავდება სხვა მომხმარებლის აპლიკაციაში.
სხვა მომხმარებელს ისევე შეუძლია აპლიკაციის გამოყენება, როგორც თქვენ. მას, ასევე, შეუძლია გამოიყენოს ფუნქცია „იპოვნე ჩემი მანქანა“.
ჩვენ ვამუშავებთ დისტანციური სერვისების გაზიარებისთვის საჭირო პერსონალურ მონაცემებს, ჩვენი სერვისების განხორციელების მიზნით (მუხ. 6 (1) (ბ), GDPR) და ჩვენს კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებით, სერვისების მიწოდების ფარგლებში (მუხ. 6 (1) (ვ), GDPR).
გაითვალისწინეთ, რომ ამ სერვისით სარგებლობისას, ავტორიზაციის მონაცემების გარდა, სხვა მომხმარებლებთან გააზიარებთ თქვენს ყველა პერსონალურ მონაცემს, რომელიც აპლიკაციაში ინახება.
ამ ფუნქციის დეაქტივაცია ნებისმიერ დროს შეგიძლიათ. დეაქტივაციით წყდება მონაცემების გაზიარება და ჩვენ წავშლით ყველა გაზიარებულ მონაცემს სხვა მომხმარებლის აპლიკაციიდან.

4.4.4. გაფრთხილების სერვისები

აპლიკაციაში გააქტიურების შემდეგ, გაფრთხილების სერვისები საშუალებას გაძლევთ, მიიღოთ შეტყობინებები თქვენ მიერ არჩეულ პარამეტრებთან დაკავშირებით.
აპლიკაციის მეშვეობით, ჩვენ მოგაწვდით გაფრთხილების შემდეგ სერვისებს:

- ა) გაფრთხილება გეოზონების შესახებ (საშუალებას გაძლევთ, მიიღოთ შეტყობინებები აპლიკაციაში, თუ თქვენი ავტომობილი გადის დაშვებული ზონიდან ან შედის შეზღუდულ ზონაში. დაშვებული და შეზღუდული ზონების საზღვრების დადგენა აპლიკაციაში თქვენ თვითონ შეგიძლიათ)
- ბ) გაფრთხილება სიჩქარესთან დაკავშირებით (საშუალებას გაძლევთ, მიიღოთ შეტყობინებები აპლიკაციაში, თუ თქვენი ავტომობილი გადააჭარბებს თქვენ მიერ აპლიკაციაში წინასწარ დაყენებულ სიჩქარის ლიმიტს)
- გ) გაფრთხილება დროის შეზღუდვებთან დაკავშირებით (საშუალებას გაძლევთ, მიიღოთ შეტყობინებები აპლიკაციაში, თუ თქვენი ავტომობილი

გადაადგილდება თქვენ მიერ აპლიკაციაში წინასწარ დაყენებული დროის შუალედებისგან განსხვავებულ დროს)

- დ) ვალეტ გაფრთხილება (საშუალებას გაძლევთ, მიიღოთ შეტყობინებები აპლიკაციაში, თუ თქვენი ავტომობილი გაივლის განსაზღვრულზე მეტ მანძილს, გადააჭარბებს სიჩქარის ლიმიტს და უმოქმედობის დროის ლიმიტს, რომლებიც წინასწარ გაქვთ დაყენებული აპლიკაციაში. გადაადგილების დაშვებული მანძილი აითვლება იმ მდებარეობიდან, სადაც გაფრთხილება გააქტიურდა)
- ე) გაფრთხილება უმოქმედობასთან დაკავშირებით (საშუალებას გაძლევთ, მიიღოთ შეტყობინებები აპლიკაციაში, თუ თქვენი ავტომობილი გადაადგილდება თქვენ მიერ აპლიკაციაში წინასწარ დაყენებული უმოქმედობის დროის მონაკვეთებს მიღმა)

ამ მიზნით, ჩვენ ვაგროვებთ და ვამუშავებთ შემდეგი კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს: ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN), თარიღი და დროის ნიშნული, GPS-მონაცემები, ინფორმაცია გაფრთხილების სტატუსის შესახებ (მაგ., აქტივაციის სტატუსი, გაფრთხილების სტატუსის დაწყებისა და დასრულების დრო, მუშაობის დრო, გარბენის დრო, ძრავის უმოქმედობის დრო, მაქსიმალური სიჩქარე, გავლილი მანძილი), ავტომობილის ინდიკატორები (მაგ., ადგილმდებარეობა, სიჩქარე, დრო, სიზუსტე, მიმართულება), არჩეული ნებადართული ზონები, არჩეული შეზღუდული ზონები, სიჩქარის არჩეული ლიმიტი, არჩეული დროის შუალედები, მანძილის არჩეული ლიმიტი და არჩეული უმოქმედობის დროის ლიმიტი.
ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენი სერვისების შესრულების მიზნით (მუხ. 6 (1) (ბ), GDPR).

4.4.5. ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული სხვა სერვისები

- ა) წინა მგზავრობების ნახვა
- ბ) მანქანაში დანიშნულების ადგილის გაგზავნა და ტურისტული ადგილების დამატება დაგეგმილი მოგზაურობისთვის
- გ) თქვენი რჩეული და ბოლოდროინდელი ინტერესის სფეროს პუნქტების (POI) პოვნა
- დ) თქვენი POI-ს გაზიარება

ამ დისტანციური სერვისების მიწოდება საჭიროებს ავტომობილთან დაკავშირებული გარკვეული მონაცემების შეგროვებას და დამუშავებას, როგორიცაა, ავტომობილის გეოლოკაციის მონაცემები (GPS-კოორდინატები).
ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს იმისთვის, რომ მოგაწოდოთ ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული სხვა მომსახურებები და, ამგვარად, განვახორციელოთ ჩვენი სერვისები (მუხ. 6 (1) (ბ), GDPR).

4.4.6. Bluelink-ის მომხმარებლის პროფილი

Bluelink-ის მომხმარებლის პროფილი საშუალებას გაძლევთ, შექმნათ თქვენი პროფილის სარეზერვო ასლები, ავტომობილის პარამეტრების ჩათვლით და გამოიყენოთ ისინი სხვადასხვა ავტომობილებზე.
თუ ორი ან მეტი მძღოლი ერთსა და იმავე ავტომობილს იყენებს, მაგრამ განსხვავებულ პარამეტრებს ამჯობინებს (მაგ., სავარძლის პოზიცია, აუდიო ან რუკის ხედვა, ან სხვა), ავტომობილში შესაძლებელია მაქსიმუმ ორი მომხმარებლის პროფილში, პლუს ერთი სტუმრის პროფილში, ინდივიდუალური პარამეტრების შენახვა.

თითოეული მომხმარებლის პროფილი მუშავდება და Bluelink-ის ღრუბლოვან გარემოში იგზავნება შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები: თქვენი და განსაზღვრული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN), მძღოლის ნომერი, ანგარიშის ნომერი, ტელეფონის ნომერი, მომხმარებლის სურათი, პროფილის მონაცემები, ასევე, სატელეფონო კავშირი, თარიღის/დროის პარამეტრები, ზოგადი პარამეტრები, ხმის პარამეტრები, ჩვენების პარამეტრები, ხმის ამოცნობის პარამეტრები, რადიოს პარამეტრები, ავტომობილის პარამეტრები, ნავიგაციის პარამეტრები და ინტერესის სფეროს პუნქტები (POI).
ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენი სერვისების შესრულების მიზნით (მუხ. 6 (1) (ბ), GDPR).

4.4.7. Touch ID-სა და Face ID-ს (iOS) ან თითის ანაბეჭდის და სახის ამოცნობის (Android) ფუნქციის გამოყენება

ჩვენი აპლიკაციის გარკვეული ფუნქციებით სარგებლობისთვის, PIN-კოდის ნაცვლად, შეგიძლიათ გამოიყენოთ Touch ID-სა ან Face ID-ს (iOS) ან თითის ანაბეჭდისა და სახის ამოცნობის (Android) ფუნქცია.
თქვენი ბიომეტრიული მონაცემები მხოლოდ ადგილობრივად, თქვენს სმარტფონში ინახება; მონაცემები ჩვენ არ გვეგზავნება და, ამიტომ, ამ მონაცემებზე წვდომა არ გვაქვს.
თქვენი სმარტფონის სისტემის მეშვეობით ჩვენს აპლიკაციაში იგზავნება მხოლოდ ინფორმაცია ბიომეტრიული მონაცემების წარმატებით დადასტურების შესახებ.
ჩვენს აპლიკაციაში ნებისმიერ დროს შეგიძლიათ გამორთოთ Touch ID-ს ან Face ID-ს (iOS), ან თითის ანაბეჭდისა და სახის ამოცნობის (Android) გამოყენების ფუნქცია.

4.4.8. Firebase Crashlytics

ჩვენი აპლიკაციისა და სერვისების უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გასაუმჯობესებლად ჩვენ ვეყრდნობით ავარიული გათიშვების შესახებ ანონიმიზებული ანგარიშების ანალიზს.
ამ მიზნით, ჩვენ ვიყენებთ „Firebase Crashlytics“-ს - სერვისს, რომელსაც უზრუნველყოფს Google Ireland Ltd., Google Building Gordon House, Barrow Street, Dublin 4, Ireland.
ავარიული გათიშვების შესახებ ანონიმიზებული ანგარიშების მოსაწოდებლად, ჩვენი აპლიკაციის ავარიული გათიშვის ან გაუმართაობის შემთხვევაში, Firebase Crashlytics-ის მეშვეობით გროვდება და შესაძლოა აშშ-ში განთავსებულ Google-ის სერვერებს გადაეცეს შემდეგი ინფორმაცია: ავარიული გათიშვის დროს აპლიკაციის მდგომარეობა, ინსტალაციის UUID, ავარიული გათიშვის კვალი, მობილური მოწყობილობის მწარმოებელი და ოპერაციული სისტემა, ასევე, ბოლო შეტყობინებები ჩანაწერების ჟურნალში.
ავარიული გათიშვების შესახებ ჩვენთვის მოწოდებული ანგარიშები არ შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, რომელთა საფუძველზეც ჩვენთვის შესაძლებელი იქნებოდა მომხმარებლის ვინაობის მიკვლევა.
Firebase Crashlytics შეგროვებულ ინფორმაციას 90 დღით ინახავს.
ამ მიზნებისთვის თქვენს პერსონალურ მონაცემებს ვამუშავებთ ჩვენი კანონიერი ინტერესის საფუძველზე, მოვახდინოთ ჩვენი აპლიკაციისა და სერვისების უსაფრთხოების და სტაბილურობის უზრუნველყოფა და ოპტიმიზაცია (მუხ. 6 (1) (ვ), GDPR).
დამატებითი ინფორმაციისთვის Firebase Crashlytics-ისა და იმის შესახებ, თუ როგორ ამუშავებს Google თქვენს პერსონალურ მონაცემებს, იხილეთ შემდეგი ბმულები: https://firebase.google.com/

https://firebase.google.com/terms/crashlytics/
https://firebase.google.com/support/privacy/

4.4.9. Hyundai Digital Key

Hyundai Digital Key-ის ფუნქცია საშუალებას გაძლევთ, გახსნათ, ჩაკეტოთ და დაქოქოთ თქვენი ავტომობილი სმარტფონის, ან სხვა ჭკვიანი მოწყობილობის მეშვეობით, „ჭკვიანი“ გასაღების საკიდის თან ტარების საჭიროების გარეშე. ის ასევე საშუალებას გაძლევთ, მართოთ და გააზიაროთ თქვენი Hyundai Digital Keys ოჯახის წევრებთან ან მეგობრებთან.

ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება იმისთვის, რომ სათანადოდ შემოწმდეს და Hyundai Digital Keys მიემაგროს ჭკვიან მოწყობილობებს, ასევე უზრუნველყოს მომსახურების და შესაბამისი სისტემების უსაფრთხოება:

მომხმარებლის ინფორმაცია (როგორიცაა მომხმარებლის ID, პროფილის სახელი, ელფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი), ინფორმაცია ჭკვიანი მოწყობილობის შესახებ (როგორიცაა მოწყობილობის ID, მოწყობილობის სახელწოდება, მოწყობილობის ტიპი, ოპერაციული სისტემის ვერსია, აპლიკაციის ვერსია), Hyundai Digital Key-ის შესახებ ინფორმაცია (როგორიცაა Hyundai Digital Key-ის ID, Hyundai Digital Key-ის სტატუსი, Hyundai Digital Key-ის ტიპი, წვდომის ავტორიზაცია/ პროფილი, ავტომობილის ID, გასაღების საკიდების ID, გაზიარებული გასაღებების რაოდენობა); გაზიარებული Hyundai Digital Key-ების შემთხვევაში: დამატებითი ინფორმაცია, როგორიცაა Hyundai Digital Key-ის გამოყენების პირველი და ბოლო თარიღი (ან ფიქსირებული პერიოდი), გაზიარებული Hyundai Digital Key-ის მომხმარებლის სახელი, თქვენს მიერ მითითებული მომხმარებლის იდენტიფიკაციის წესი / ავტორიზაციის პროფილი, დიაგნოსტიკური ინფორმაცია (შეცდომის კოდები) და ინფორმაცია ავტომობილის სტატუსის შესახებ.

როდესაც Hyundai Digital Key-ს იყენებთ, ანუ კეტავთ, აღებთ და რთავთ ავტომობილს, ჭკვიან მობილურ მოწყობილობასა და ავტომობილს შორის იცვლება მონაცემები ახლო საველე კომუნიკაციის (NFC) ან ულტრა-ფართოზოლიანი ქსელის მეშვეობით. ეს მონაცემები არ გადაეცემა Hyundai-ს ან დისტრიბუტორს.

ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენი მომსახურებების განხორციელების მიზნით (მუხლი 6 (1) (ბ) GDPR).

4.5. მონაცემთა ანალიზი პროდუქტების გაუმჯობესებისა და განვითარებისთვის

Hyundai თავისი პროდუქტების გასაუმჯობესებლად და გასავითარებლად თქვენი ავტომობილიდან ან/და აპლიკაციიდან აგროვებს და ამუშავებს ტელემექანიკურ მონაცემებს ავტომობილის ეფექტურობასთან, გამოყენებასთან, მუშაობასა თუ მდგომარეობასთან დაკავშირებით და ამ მონაცემებს გადასცემს Hyundai-ს ავტორიზებულ დისტრიბუტორებს ამ მიზნებისთვის შესაბამისი მონაცემების დასამუშავებლად.

ამ მიზნებისთვის გამოყენებული მონაცემები, როგორც წესი, შემოიფარგლება ტექნიკური მონაცემებით.

ეს მონაცემები გამოიყენება ძალური აგრეგატის, ჰიბრიდული/EV ავტომობილისა და სხვა სამანქანო ფუნქციების გასაუმჯობესებლად და გასავითარებლად, შედის ABS, ABS-ის სტატუსი, ინფორმაცია საჭის თვლის შესახებ, ხელის მუხრუჭი, წევის კონტროლის (თვლების შეჭიდულობის) სისტემა, კლასტერული ინფორმაცია, უსაფრთხოების ღვედი, აჩქარება, ბატარეის მდგომარეობა, კარის ჩამკეტი გასაღები, წინა ნათურა, ინდიკატორის სიგნალი, განათების სისტემა, ხელის გარეშე საბარგულის გახსნის სისტემა, სავარძლის სიმაღლე, ლიუკი, მინასაწმენდი, ნავიგაცია

(ჩართვა/გამორთვა) და მსგავსი ტექნიკური მონაცემები თუ პრობლემების კოდები, როგორც აღნიშნულია 4.3.4-ე პუნქტში.
მონაცემთა ანალიზის მეტი ეფექტურობისთვის, ჩვენ ასევე შეიძლება შევაგროვოთ დამატებითი ინფორმაცია, რომელიც იძლევა ფიზიკური პირის იდენტიფიკაციის საშუალებას (როგორიცაა ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN), ანგარიშისა და გამოწერის მონაცემები, საჭიროების შემთხვევაში, და თუ ჩართულია GPS ინფორმაცია). ჩვენ დავამუშავებთ ამ მონაცემებს ზემოთ აღნიშნული მიზნით და ასევე, რომ მოგაწოდოთ პერსონალიზებული ინფორმაცია თქვენ მიერ ჩვენი სერვისების გამოყენების შესახებ.
ამ მიზნებისთვის თქვენი მონაცემების შეგროვების სამართლებრივი საფუძველია Hyundai-ს კანონიერი ინტერესი, გააუმჯობესოს სერვისები და განავითაროს ახალი პროდუქტები და მომსახურება (მუხ. 6 (1) (ვ), GDPR); მაგ., მოახდინოს ტექნიკური გაუმართაობის იდენტიფიცირება, გააანალიზოს ავტომობილების ეფექტურობა ან მოგაწოდოთ გაუმჯობესებული პროდუქტები ან სამომხმარებლო სერვისები).

4.6. მონაცემთა დამუშავება მსგავსი პროდუქტისა და სერვისების მარკეტინგული მიზნებისთვის

ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ უშუალოდ თქვენგან და ჩვენს სერვისებზე რეგისტრაციიდან მიღებული თქვენი პერსონალური მონაცემები მსგავსი პროდუქტების ან/და სერვისების მარკეტინგისთვის (მაგ., შეგატყობინოთ ახალი სერვისების ან Hyundai-ს სხვა მსგავსი მომსახურებების შესახებ), თუ არ გამოგითქვამთ პროტესტი ასეთ გამოყენებაზე.
დამუშავების სამართლებრივი საფუძველია მუხ. 6 (1) (ვ) GDPR (ჩვენი კანონიერი ინტერესები, გაცნობოთ ჩვენი სერვისების შესახებ და მოვახდინოთ მათი რეკლამირება).
მონაცემების ამ მიზნით გამოყენების გაპროტესტება შეგიძლიათ ნებისმიერ დროს, უფასოდ, გამოწერის გაუქმების ბმულით, რომელიც ერთვის ყველა კომუნიკაციას, ან მე-3 პუნქტში მოცემული საკონტაქტო ინფორმაციის მეშვეობით.

4.7. მონაცემთა ავტომობილის კიბერ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მიზნებისთვის დამუშავება

სერვისების გააქტიურების შემდეგ, თქვენი მანქანის ტექნიკური აღჭურვილობიდან გამომდინარე, თქვენი ავტომობილიდან უსაფრთხოების მოვლენებთან დაკავშირებულ მონაცემებს ვაგროვებთ და ვამუშავებთ, რათა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენი მანქანების და პროდუქტების კიბერ უსაფრთხოების შესაბამის სტანდარტებთან შესაბამისობა უზრუნველყოფილია.
ამ ფუნქციისთვის პერსონალური მონაცემების შემდეგი კატეგორიები მუშავდება: ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN) და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მონაცემები (როგორიცაა უსაფრთხოების მოვლენის გენერირებული დროის ნიშნული და ინფორმაცია კომპონენტის/მართვის განყოფილების შესახებ, რომელმაც უსაფრთხოების მოვლენა დააფიქსირა და აღმოაჩინა).
მონაცემები თქვენს მანქანაში შეგროვდება და შეინახება.
თუ არანორმალური სიგნალი გამოვლინდა, მონაცემები შემდგომი ანალიზისთვის ჩვენს სისტემებს გადაეგზავნება.
მანქანიდან ასეთი მონაცემების უწყვეტი გადაცემა არ ხდება.
მას შემდეგ, რაც მონაცემები ჩვენს სისტემებს გადაეცემა, ჩვენ მათ კიბერ უსაფრთხოებისთვის საფრთხეების და დაუცველობის თავიდან ასაცილებლად ვამუშავებთ და ვაანალიზებთ, აღმოჩენილ საფრთხეებსა და დაუცველობაზე, რომლებიც კიბერ უსაფრთხოებაზე პოტენციური თავდასხმებისგან წარმოიქმნება,

რეაგირების და აღმოფხვრის მიზნით, ასევე იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჩვენს მანქანებს და პროდუქტებს უსაფრთხოების შესაბამისი დონე ჰქონდეს. რამდენადაც კიბერუსაფრთხოების სფეროში ჩვენი სამართლებრივი ვალდებულებების შესასრულებლად (მუხლი 6(1) c) GDPR), ასეთი დამუშავება აუცილებელი არ არის, თქვენი მონაცემების ამ მიზნებისთვის დამუშავების სამართლებრივი საფუძველია Hyundai-ის ლეგიტიმური ინტერესი ჩვენი მანქანების მონიტორინგში, ჩვენი პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და გასაუმჯობესებლად(მუხლი 6 (1) ვ) GDPR).
თქვენს მანქანაში პერიოდულად უსაფრთხოების ბოლო 100 გენერირებული მოვლენა ინახება. თუ უსაფრთხოების ახალი მოვლენა მოხდა, უსაფრთხოების ყველაზე ძველი მოვლენა და მასთან დაკავშირებული მონაცემები წაიშლება. მონაცემთა შენახვის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ კონფიდენციალურობის ამ შეტყობინების მე-8 ნაწილში იხილოთ.

5. რა წესები ვრცელდება მონაცემთა სხვა სუბიექტების მონაცემებზე და ავტომობილის მესამე მხარისთვის მიყიდვისა და გადაცემის შემთხვევაში?

სხვა პირისთვის მანქანის თხოვების, ან სერვისების გამოყენებისას მონაცემთა სხვა სუბიექტების (მაგ., სხვა მძღოლის) მონაცემების შესაძლო შეგროვების შემთხვევაში, თქვენ უნდა უზრუნველყოთ მონაცემთა სუბიექტების სათანადოდ ინფორმირება მონაცემების დამუშავების შესახებ, აქ აღწერილის შესაბამისად.
ავტომობილის გაყიდვისას ან მესამე პირისთვის სამუდამოდ გადაცემისას დარწმუნდით, რომ გამორთეთ სერვისი ისე, რომ ვერცერთ თქვენს პერსონალურ მონაცემზე ხერხდება წვდომა საინფორმაციო-გასართობი სისტემის მეშვეობით (პარამეტრები – Bluelink – Bluelink-ის დეაქტივაცია).
თუ Bluelink-ის დეაქტივაციას არ მოახდენთ, შესაძლოა, მონაცემები მაინც ხელმისაწვდომი იყოს მე-3 მხარეებისთვის საინფორმაციო-გასართობი სისტემის მეშვეობით.
აპში არსებული თქვენი ანგარიშის მონაცემები არ წაიშლება, ვიდრე არ შეწყვეტთ Hyundai ანგარიშის მოქმედებას.

6. ვისთან ზიარდება ჩემი მონაცემები?

Hyundai-ს მხრიდან თქვენს პერსონალურ მონაცემებზე ნებისმიერი წვდომა შემოიფარგლება იმ პირებით, რომლებსაც მათი ცოდნა თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად ესაჭიროებათ.
თქვენი პერსონალური მონაცემები, შესაძლოა, გადაეცეს ქვემოთ ჩამოთვლილ მიმღებებსა და მიმღებთა ჯგუფებს შესაბამისი მიზნებისთვის; ამ მიმღებებს შეუძლიათ მონაცემების შემდგომი დამუშავება განსაზღვრული მიზნებისთვის:

- Hyundai-ს დისტრიბუტორები – ჩვენ ვიმოქმედებთ, როგორც ერთობლივი მაკონტროლებელი შეძენის ქვეყანაში არსებულ Hyundai-ს ავტორიზებულ დისტრიბუტორთან ერთად, შემდეგ სერვისებთან დაკავშირებით: ავტომობილის დიაგნოსტიკა (პუნქტი 4.3.4) და პროდუქტების გაუმჯობესება და განვითარება (პუნქტი 4.5), ასევე, პროდუქტების მონიტორინგი და მათთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა.
- ჩვენ დავამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს სერვისების ტექნიკური და ოპერაციული მიმწოდებლის როლში და გარკვეულ პერსონალურ მონაცემებს გადავცემთ Hyundai-ს დისტრიბუტორებს.
- Hyundai-ს დისტრიბუტორი იღებს თქვენს პერსონალურ მონაცემებს მომხმარებელთა მომსახურებისა და ტექნიკური მხარდაჭერისთვის, ასევე, პროდუქტის განვითარების მიზნით.

- ჩვენ და Hyundai-ს დისტრიბუტორი ვდებთ შეთანხმებას, რომელიც არეგულირებს პერსონალური მონაცემების დამუშავებას. მოთხოვნის შემთხვევაში, მოგაწვდით ინფორმაციას ასეთი შეთანხმების შინაარსის შესახებ.
- Hyundai-ს თითოეული დისტრიბუტორის შესახებ დამატებითი დეტალების მიღება შეგიძლიათ დანართიდან.
- Hyundai Motor Europe – ავტომობილის სისტემის OTA განახლებებთან დაკავშირებით ჩვენ ვიმოქმედებთ, როგორც ერთობლივი მაკონტროლებელი Hyundai Motor Europe GmbH-თან ერთად, რომლის რეგისტრაციის მისამართია Kaiserleipromenade 5, 63067 Offenbach, Germany.
- ჩვენ დავამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს სერვისების ტექნიკური და ოპერაციული მიმწოდებლის როლში და გარკვეულ პერსონალურ მონაცემებს გადავცემთ Hyundai Motor Europe-ს.
- Hyundai Motor Europe პასუხისმგებელია ავტომობილის სისტემის OTA განახლებების განაწილებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებსა და მონიტორინგზე.
- ჩვენ და Hyundai Motor Europe ვდებთ შეთანხმებას, რომელიც არეგულირებს პერსონალური მონაცემების დამუშავებას. მოთხოვნის შემთხვევაში, მოგაწვდით ინფორმაციას ასეთი შეთანხმების შინაარსის შესახებ.
- სხვა კერძო, მესამე მხარეები – თქვენს პერსონალურ მონაცემებს გარკვეულ კერძო სუბიექტებს გადავცემთ, რომლებიც სერვისების თქვენთვის შემოთავაზებაში გვეხმარებიან. მაგალითად, ჩვენ დამოკიდებულები ვართ სატელეკომუნიკაციო სერვისებზე, რომლებსაც ტელეკომუნიკაციის პროვაიდერები გვაწვდიან.
- მონაცემთა დამმუშავებლები – თქვენს პერსონალურ მონაცემებს გადავცემთ ცალკეულ აფილირებულ ან დამოუკიდებელ მესამე მხარეებს, რომლებიც Hyundai-ს სახელით, შესაბამისი მითითებების დაცვით ამუშავებენ თქვენს მონაცემებს, რაც საჭიროა შესაბამისი მიზნებისთვის. მონაცემთა დამმუშავებლები ექვემდებარებიან სახელშეკრულებო ვალდებულებებს, უზრუნველყონ შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების ზომები, რათა დაიცვან პერსონალური მონაცემები და მხოლოდ მითითების შესაბამისად დაამუშაონ ისინი.
  - Bluelink-ის მონაცემთა დამმუშავებელია Hyundai Autoever Europe, Kaiserleistraße 8A, 63067 Offenbach am Main, Germany.
  - Hyundai Live-ისა და დისტანციური სერვისისთვის „იპოვნე ჩემი მანქანა“ მონაცემთა დამმუშავებელია: Hyundai Autoever Europe, Kaiserleistraße 8A, 63067 Offenbach am Main, Germany (მაგ., ჰოსტინგისა და მხარდაჭერისთვის ან შესაბამისი აპლიკაციების მართვისთვის).
  - ხმის ამოცნობის სერვისისთვის მონაცემთა დამმუშავებლები არიან: Cerence GmbH, Jülicher Straße 376, 52070 Aachen, Germany; Hyundai Autoever Europe, Kaiserleistraße 8A, 63067 Offenbach am Main, Germany (მაგ., მხარდაჭერის ან შესაბამისი აპლიკაციების მართვისთვის).
  - ავტომობილის სისტემის OTA განახლებების ტექნიკური განაწილებისთვის, ანალიზის და უსაფრთხოებისთვის, ასევე პროდუქტის გაუმჯობესებისა და

განვითარების მიზნით, მონაცემთა ანალიზთან დაკავშირებული ტექნიკური პროცესების უზრუნველსაყოფად, მონაცემთა დამმუშავებელია Hyundai Motor Company, 12, Heolleung-ro, Seocho-gu, Seoul, Republic of Korea.

- ჩვენ ვთანამშრომლობთ მონაცემთა დამმუშავებლებთან ქოლ-ცენტრის სერვისებისთვის.
- ყველა ზემოაღნიშნულმა მონაცემთა დამმუშავებელმა, შესაძლოა, ასევე, გამოიყენოს ქვედამმუშავებლები შესაბამისი სერვისების უზრუნველსაყოფად.

- ხელისუფლების ორგანოები, სასამართლოები, გარე მრჩევლები და მესამე მხარეები, როგორებიცაა სამთავრობო ორგანოები, შესაბამისი კანონით მოთხოვნილ ან დაშვებულ ფარგლებში.

7. გადაიცემა თუ არა ჩემი მონაცემები საზღვარგარეთ?

ჩვენ გადავცემთ თქვენს მონაცემებს Hyundai-ს საწარმოებს, რომლებიც განთავსებული არიან ევროკავშირის / ევროპის ეკონომიკური ზონის ფარგლებს გარეთ, კორეის რესპუბლიკაში, მე-6 პუნქტში მითითებული მიზნებისთვის. ევროკომისიამ დაადგინა, რომ კორეა და გაერთიანებული სამეფო იმ იურისდიქციებს შორისაა, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვის ადეკვატურ დონეს.

თქვენი პერსონალური მონაცემების ზოგიერთი სხვა მიმღები შეიძლება მდებარეობდეს ან საქმიანობას ეწეოდეს თქვენი ქვეყნისა და ევროკავშირის / ევროპის ეკონომიკური ზონის ფარგლებს გარეთ, მაგ., ამერიკის შეერთებულ შტატებში (მაგ., Cerence-ის ქვედამმუშავებლები), სადაც მონაცემთა დაცვის კანონები, შესაძლოა, თქვენი იურისდიქციის კანონებთან შედარებით, დაცვის განსხვავებულ დონეს ითვალისწინებდეს და მათთვის ევროკომისიის გადაწყვეტილება შესაბამისობის შესახებ არ არსებობდეს.

ევროკავშირის / ევროპის ეკონომიკური ზონის ფარგლებს გარეთ ასეთი მიმღებებისთვის მონაცემთა გადაცემასთან დაკავშირებით ჩვენ უზრუნველვყოფთ დაცვის შესაბამის ზომებს, კერძოდ, მიმღებებთან ვდებთ მონაცემთა გადაცემის შესახებ შეთანხმებებს, რომლებიც შეიცავს ევროკომისიის მიერ მიღებულ სტანდარტულ მუხლებს, ან ვიღებთ სხვა ზომებს მონაცემთა დაცვის ადეკვატური დონის უზრუნველსაყოფად.

ჩვენ მიერ გატარებული შესაბამისი ღონისძიების ასლის მიღება შესაძლებელია Hyundai-ს მონაცემთა დაცვის ოფიცრისგან (იხილეთ 3.2 პუნქტი ზემოთ).

8. რა ვადით ინახება ჩემი მონაცემები?

8.1. თქვენი პერსონალური მონაცემები ინახება Hyundai-ს ან/და ჩვენი სერვისების პროვაიდერების მიერ მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც ჩვენი მოვალეობების შესასრულებლად არის საჭირო, და მხოლოდ იმ ვადით, რაც აუცილებელია იმ მიზნების მისაღწევად, რისთვისაც მონაცემები შეგროვდა, მონაცემთა დაცვის მოქმედი კანონების შესაბამისად.

თქვენი პერსონალური მონაცემები არავითარ შემთხვევაში არ შეინახება თქვენი ანგარიშის შეწყვეტის შემდეგ.

როდესაც Hyundai-ს აღარ დასჭირდება თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება, ჩვენ წავშლით მონაცემებს ჩვენი სისტემებიდან ან/და ჩანაწერებიდან ან/და მივიღებთ ზომებს, რომ სათანადოდ უზრუნველვყოთ მათი ანონიმურობა, რათა შეუძლებელი გახდეს თქვენი იდენტიფიცირება მონაცემებიდან (თუ თქვენი ინფორმაციის შენახვა არ გვჭირდება იმ სამართლებრივი ან მარეგულირებელი ვალდებულებების შესასრულებლად, რომლებსაც Hyundai ექვემდებარება; მაგ., ხელშეკრულებებში, კორესპონდენციებსა და ბიზნეს-წერილებში არსებული

პერსონალური მონაცემები, შესაძლოა, ექვემდებარებოდეს კანონით გათვალისწინებული შენახვის მოთხოვნებს, რომლებიც შეიძლება ადგენდეს 10 წლამდე ვადით შენახვის ვალდებულებას).

8.2. არსებობს შენახვის სპეციალური ვადები შემდეგი საკითხებისთვის:

- ხმის ამოცნობა: ხმის ნიმუშები და GPS-კოორდინატები (იხილეთ 4.3.3 პუნქტი ზემოთ) ინახება მაქსიმუმ 90 დღით.
- Hyundai Live: გეოლოკაციის მონაცემები (GPS-კოორდინატები) და სერვისის ID (იხილეთ 4.3.2 პუნქტი ზემოთ) ინახება მაქსიმუმ 93 დღით.
- ჩემი მგზავრობები: „ჩემს მგზავრობებ“-ში არსებული ინფორმაცია თქვენი ავტომობილის გამოყენების შესახებ ხელმისაწვდომია მაქსიმუმ 90 დღის განმავლობაში.

8.3. ანგარიშის შეწყვეტა: თუ ანგარიშის შეწყვეტას მოინდომებთ (მაგ., მანქანის საინფორმაციო-გასართობ სისტემაში ან აპლიკაციის მენიუში, „ჩემი ანგარიშის“ ქვემოთ, შესაბამისი ვარიანტის დაყენებით), თქვენს ანგარიშთან დაკავშირებული ყველა პერსონალური მონაცემი წაიშლება, თუ მათზე არ ვრცელდება მონაცემების შენახვის ვადები (იხილეთ 8.1 პუნქტი ზემოთ).

9. რა უფლებები მაქვს და როგორ გამოვიყენო ისინი?

თუ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობა გაქვთ მიცემული, ნებისმიერ დროს შეგიძლიათ გააუქმოთ ასეთი თანხმობა, რაც სამომავლო დამუშავებაზე აისახება.

ასეთი გაუქმება არ იმოქმედებს იმ დამუშავების კანონიერებაზე, რომელიც თქვენ მიერ თანხმობის გაუქმებამდე შესრულდა.

დისტრიბუტორი არის საკონტაქტო პირი, რომელსაც მონაცემების სუბიექტთა მხრიდან წარედგინება ნებისმიერი მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შეგროვების თაობაზე, კონფიდენციალურობის შესახებ ამ შეტყობინებასთან და მის დანართთან დაკავშირებით.

მიუხედავად ამისა, თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი უფლებები თითოეულ მაკონტროლებელთან დაკავშირებით და მის წინააღმდეგ GDPR-ის და მონაცემთა დაცვის ეროვნული კანონების ფარგლებში.

მონაცემთა დაცვის შესახებ შესაბამისი კანონის გათვალისწინებით, თქვენ გაქვთ ქვემოთ ჩამოთვლილი უფლებები თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით.

გაითვალისწინეთ, რომ ეს უფლებები, შესაძლოა, შეიზღუდოს მონაცემთა დაცვის ეროვნული კანონის შესაბამისად.

9.1. წვდომის უფლება: თქვენ გაქვთ უფლება, მიიღოთ დადასტურება, მუშავდება თუ არა თქვენი პერსონალური მონაცემები, ხოლო ასეთის შემთხვევაში, მოითხოვოთ თქვენს პერსონალურ ინფორმაციაზე წვდომა.

ეს ინფორმაცია, ყველაფერთან ერთად, მოიცავს დამუშავების მიზნებს, თქვენი პერსონალური მონაცემების კატეგორიებს და მიმღებებს თუ მიმღებთა კატეგორიებს, რომელთაც ეცნობათ ან გადაეცათ თქვენი პერსონალური მონაცემები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის აბსოლუტური უფლება და სხვა პირთა ინტერესებმა, შესაძლოა, შეზღუდოს თქვენი წვდომის უფლება.

თქვენ, ასევე, უფლება გაქვთ, მიიღოთ თქვენი პერსონალური მონაცემების ასლი, რომლებიც მუშავდება.

დამატებით ასლების მოთხოვნის შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება დაგაკისროთ გონივრული მოსაკრებლის გადახდა, ადმინისტრაციული ხარჯების საფუძველზე.

9.2. დაზუსტების უფლება: თქვენ გაქვთ უფლება, მოითხოვოთ თქვენთან დაკავშირებული ნებისმიერი არაზუსტი პერსონალური მონაცემის დაზუსტება.
დამუშავების მიზნებიდან გამომდინარე, თქვენ გაქვთ არასრული პერსონალური მონაცემების შესწორების ან/და შევსების უფლება, მათ შორის, დამატებითი განაცხადის წარდგენის გზით.

9.3. წაშლის უფლება („დავიწყების უფლება“): გარკვეულ გარემოებებში, თქვენ გაქვთ უფლება, მოითხოვოთ თქვენი პერსონალური მონაცემების წაშლა და ჩვენ დაგვეკისროს მათი წაშლის ვალდებულება.

9.4. დამუშავების შეზღუდვის უფლება: გარკვეულ გარემოებებში, თქვენ გაქვთ უფლება, მოითხოვოთ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე შეზღუდვის დაწესება. ამ შემთხვევაში, შესაბამისი მონაცემები მოინიშნება და ისინი შეიძლება მხოლოდ კონკრეტული მიზნებისთვის დამუშავდეს.

9.5. მონაცემთა გადატანის/პორტირების უფლება: გარკვეულ გარემოებებში, თქვენ შეიძლება ისარგებლოთ უფლებით, მიიღოთ ჩვენთვის მოწოდებული პერსონალური მონაცემების ასლი სტრუქტურირებულ, საყოველთაოდ გამოყენებად და მოწყობილობის მიერ წაკითხვად ფორმატში. თქვენ გაქვთ უფლება, ჩვენი მხრიდან ხელშეშლის გარეშე, სხვა სუბიექტს გადასცეთ ეს მონაცემები ან მოითხოვოთ უშუალოდ ჩვენ მიერ მათი გადაცემა.

9.6. გაპროტესტების უფლება: გარკვეულ შემთხვევებში, თქვენ გაქვთ უფლება, კონკრეტულ ვითარებაში და ნებისმიერ დროს, გამოთქვათ პროტესტი თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ, ხოლო ჩვენ ვალდებული ვიქნებით, აღარ დავამუშაოთ თქვენი პერსონალური მონაცემები.
თუ თქვენი პერსონალური მონაცემები პირდაპირი მარკეტინგული მიზნებისთვის მუშავდება, თქვენ გაქვთ უფლება, ნებისმიერ დროს გააპროტესტოთ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება ასეთი მარკეტინგისთვის, პროფილების შექმნის ჩათვლით, რამდენადაც ეს დაკავშირებული იქნება ამგვარ პირდაპირ მარკეტინგთან. ამ შემთხვევაში, ჩვენ აღარ დავამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს აღნიშნული მიზნებისთვის.

9.7. გასაჩივრების უფლება: თქვენ, ასევე, უფლება გაქვთ, საჩივარი შეიტანოთ თქვენი ქვეყნის მონაცემთა დაცვის კომპეტენტურ ზედამხედველობით უწყებაში.

10. ვალდებული ვარ თუ არა, მივაწოდო ჩემი მონაცემები?
არ არსებობს კანონით ან ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულება თქვენი პერსონალური მონაცემების ჩვენთვის მოწოდებაზე.
ამას გარდა, ხელშეკრულების გასაფორმებლად თქვენი პერსონალური მონაცემების მოწოდება არ გჭირდებათ, თუმცა თუ თქვენს პერსონალურ მონაცემებს არ მოგვაწვდით, შესაძლოა, შეგეზღუდოთ სერვისების გამოყენება.

11. შემიძლია თუ არა ონლაინ რეჟიმის დეაქტივაცია (კავშირგარეშე რეჟიმი; მოდემის გამორთვა)?
სურვილისამებრ, შეგიძლიათ გამორთოთ ონლაინ რეჟიმი, შესაბამისი სასურველი პარამეტრის დაყენებით.
ონლაინ რეჟიმის გამორთვის შემთხვევაში (კავშირგარეშე რეჟიმი), ითიშება Bluelink-ის ყველა ფუნქცია და პერსონალური მონაცემები, კერძოდ, გეოლოკაციის მონაცემები (GPS-კოორდინატები) არ გროვდება Bluelink-ისთვის, და თქვენი ავტომობილის საინფორმაციო-გასართობი სისტემის ეკრანის ზედა ნაწილში ჩნდება კავშირგარეშე რეჟიმის ხატულა.

12. როგორ შეიძლება შეიცვალოს კონფიდენციალურობის შესახებ ეს შეტყობინება?

მომავალში, ჩვენ შეიძლება დროდადრო შევცვალოთ ან/და დამატებები გავუკეთოთ კონფიდენციალურობის შესახებ ამ შეტყობინებას.
ასეთი ცვლილებები ან/და დამატებები შეიძლება საჭირო გახდეს ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ან ახალი სერვისების წარდგენის გამო.
ცვლილებებს ჩვენს ვებგვერდებზე ან/და თქვენი მანქანის საინფორმაციო-გასართობ სისტემასა და აპლიკაციაში გამოვაქვეყნებთ.

13. დანართი: Hyundai-ს ავტორიზებული დისტრიბუტორების სია

ავსტრია
Hyundai Import Gesellschaft m.b.H.
Richard Strauss Straße 14
1230 Vienna
Austria
კომერციული რეესტრის ნომერი: 47654f
datenschutz@hyundai.at

ბელგია
NV Korean Motor Company SA
Pierstraat 229
2550 Kontich
Belgium
კომერციული რეესტრის ნომერი: BE0404273333
privacy@hyundai.be

ბოსნია და ჰერცეგოვინა
Hyundai-Auto BH d.o.o.
Branilaca Šipa 4C
71000 Sarajevo
Bosnia and Herzegovina
კომერციული რეესტრის ნომერი: 65-01-0799-09

ბულგარეთი
Industrial Commerce Ltd
1797 Sofia
260 Ring Road
Bulgaria
კომერციული რეესტრის ნომერი: 204502867
m.kamenova@hyundaibg.bg

კანარის კუნძულები
HYUNDAI CANARIAS, S.L.U.
C/ Lomo la Plana, 16
35.019. Las Palmas de Gran Canaria
Las Palmas
კომერციული რეესტრის
ნომერი: B76156504
dpo@domingoalonsogroup.com

ხორვატია
Hyundai Hrvatska d.o.o.
Ljubljanska avenija 4C
10090 Jankomir
Grad Zagreb
Croatia

კომერციული რეესტრის ნომერი: HRSR.080961241
dubravka.posinovec@hyundai.hr

კვიპროსი

CTC Automotive Ltd
Shacolas Emporium Park-Annex 4, 4 Verginas Street
2030 Nicosia
Cyprus
კომერციული რეესტრის ნომერი: HE145360
bluelink@ctcautomotive.com.cy

ჩეხეთის რესპუბლიკა

Hyundai Motor Czech s.r.o.
Siemensova 2717/4
155 00 Praha 5
Czech Republic
კომერციული რეესტრის ნომერი: 28399757
info@hyundai.cz

დანია

Hyundai Bil Import A/S
Korsvej 1
6000 Kolding
Denmark
კომერციული რეესტრის ნომერი: 14790993
GDPR@nc.dk

ფინეთი

Hyundai Motor Finland OY
Kellokukantie 2
01300 Vantaa
Finland
კომერციული რეესტრის ნომერი: FI16337337
tietosuoja@hyundai.fi

საფრანგეთი

Hyundai Motor France
Tour Nova – 71 Boulevard National
92250 La Garenne-Colombes
France
კომერციული რეესტრის ნომერი: 411 394 893
contact-donnees@hyundai.fr

გერმანია

Hyundai Motor Deutschland GmbH
Kaiserleipromenade 5
63067 Offenbach
Gemany
კომერციული რეესტრის ნომერი: HRB 47293
datenschutz@hyundai.de

საბერძნეთი

Hyundai Hellas S.A.
31, Viltanioti Street
14564 Kifissia
Greece

კომერციული რეესტრის ნომერი: 659601000
gdpr@hyundai.com.gr

უნგრეთი

Hyundai Holding Hungary Kft
Cziffra György út 15
1182 Budapest
Hungary
კომერციული რეესტრის ნომერი: 01-09-881438
info@hyundai.hu

ისლანდია

BL ehf
Kauptúni 1
210 Garðabær
Iceland
კომერციული რეესტრის ნომერი: 630211-0500
gudrunh@hyundai.is

ირლანდია

Hyundai Cars Ireland Limited
JFK Drive, Naas Road
Dublin, 12
Ireland
კომერციული რეესტრის ნომერი: 211878
Darren.Byrne@hyundai.ie

იტალია

Hyundai Motor Company Italy S.r.l.
Via Giovanni Bensi 11
20152, Milano
Italy
კომერციული რეესტრის ნომერი: 6313170968
DPO@hyundai.it

მალტა

Meridian Enterprises Co. Ltd.
Pater House
168 Psaila Street
Birkirkara BKR 9077
Malta
კომერციული რეესტრის ნომერი: C3988
johan.micallef@meridian.com.mt

მოლდოვა

Pacific Motors SRL
Chisinau str. Calea Mosilor 5/1
Moldova
კომერციული რეესტრის ნომერი: 1014600041393

ნიდერლანდები

Hyundai Motor Netherlands b.v.
Hub van Doorneweg 14
2171 KZ Sassenheim
The Netherlands

კომერციული რეესტრის ნომერი: 61506230
legal@hyundai-motor.nl

ნორვეგია

Hyundai Motor Norway AS
Alf Bjerckes vei 8
0582 Oslo
Norway
კომერციული რეესტრის ნომერი: 914 315 816
kundeservice@hyundai.no

პოლონეთი

Hyundai Motor Poland Sp. Z o.o.
ul. Woloska 24
02-675 Warszawa
Poland
კომერციული რეესტრის ნომერი: 0000067315
hyundai.dpo@wlaw.pl

პორტუგალია

Hyundai Portugal, S.A.
Rua do Campo Alegre
1306-B Porto
Portugal
კომერციული რეესტრის ნომერი: 500820384
privacidade@hyundai.pt

რუმინეთი

Hyundai Auto Romania
Bd. Expozitiei, nr. 2, showroom Hyundai
etaj 1, sector 1, Bucuresti
Romania
კომერციული რეესტრის ნომერი: J40/15805/1994
daniela.avram@tiriacauto.ro

სერბეთი

Hyundai Srbija d.o.o. Beograd
Milutina Milankovića 7V
11070 Novi Beograd
Serbia
კომერციული რეესტრის ნომერი: 21114804

სლოვაკეთის რესპუბლიკა

Hyundai Motor Czech s.r.o.,
organizačná zložka Slovaki
Galvaniho 17/A
821 04 Bratislava
Slovak Republic
კომერციული რეესტრის ნომერი: 1610/B
dpo@hyundai.sk

სლოვენია

Hyundai Avto Trade d.o.o. Ljubljana
Brnčičeva 45
1231 Ljubljana – Črnuče
Slovenia

კომერციული რეესტრის ნომერი: 5526485
gdpr@hyundai.si

ესპანეთი

Hyundai Motor España S.L.U.
Calle Quintanapalla 2
28050 Madrid
Spain
კომერციული რეესტრის ნომერი: B85754646
DPO@hyundai.es

შვედეთი

Hyundai Motor Sweden AB
Hyllie Stationsväg 42
215 32 Malmö
Sweden
კომერციული რეესტრის ნომერი: 559441-2529
legal@hyundai.se

შვეიცარია

ASTARA MOBILITY SWITZERLAND AG
Brandbachstrasse 6
CH-8305 Dietlikon
Switzerland
კომერციული რეესტრის ნომერი: CHE-262.166.165
dataprotection@hyundai.ch

გაერთიანებული სამეფო

Hyundai Motor UK Limited
Ground Floor Birchwood Building Springfield Drive
Leatherhead Surrey KT22 7LP
United Kingdom
კომერციული რეესტრის ნომერი: 05446560
dpo@hyundai.co.uk

უკრაინა

Hyundai Motor Ukraine LLC
1A Novokonstantynivska Str.,
04080 Kyiv
Ukraine
კომერციული რეესტრის ნომერი: 33261252